ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ხუნდაძემ ჩოჩელს კომპრომატი გამოუქვეყნა

გვ.3




13 სექტემბრიდან

ვიქტორ ჰიუგო

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი





ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 2016 №218 (7144) ფასი: 50 თეთრი

# „ივანიშვილმა დაიჯერა, რომ შეუცდომელია“




## გია ხუხაშვილი: „ბურჭულაძემ ფული მართლა მოითხოვა“

გვ.2

ყოფილი პრემიერი გაუმართლებლად ბევრს საუბრობს წვრილ-წვრილ პარტიებზე. განსაკუთრებული ყურადღება რესპუბლიკელებს დაუთმო. მაინტერესებს, რა უნდა ავნოს ივანიშვილმა ამათ. მათ კრიტიკა ვერაფერს დააკლებს.





## დავით უსუფაშვილი: „სირცხვილია, ბატონო ბიძინა!“

გვ.5

უშიშროების საბჭო მრავალტანჯული ორგანოა. ამიტომ ვისურვებდი, ისეთი მდივანი დაინიშნოს, რომელიც ამ ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას შეძლებს იმ ვითარებაში, სადაც ვართ.

## თორნიკე შარაშენიძე: „ქართულ ოცნებას“ კრიზისი და არეულობა არ აწყობს“

გვ.3



„მინისტრმა პროვოკაციების დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები უნდა წარმოადგინოს“

## ირაკლი კობახიძე: „ნაციონალებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ არეულობას აპირებენ“

გვ.3



გიორგი მღებრიშვილი: „დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ!“



## გიორგი ვაშაძე: „ხათუნა ლაგაზიძეს პირველ ხუთეულში უნდოდა მოხვედრა“



გვ.4

„გვებრძვიან იმიტომ, რომ მზარდი რეიტინგი გვაქვს“



გვ.6

## ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## „ჩემები“ — მაგთიკომის პირველი შეთავაზება მომხმარებელს კავკასუს ონლაინის შეძენის შემდეგ

გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ივანიშვილმა დაიჯერა, რომ შეუცდომელია“

## გია ხუხაშვილი: „ბურჭულაძემ ფული მართლა მოითხოვა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ამბობს უარს ივანიშვილი ხალხთან შეხვედრაზე, რატომ ჰგონია თავი შეუცდომელი, აცყუებს თუ არა მას გარემოცვა, რაზე ევაჭრებოდა პაატა ბურჭულაძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***– როდესაც ბიძინა ივანიშვილი ახალი სატელევიზიო პროექტით წარდგა საზოგადოების წინაშე, თქვენ თქვით, რაც დრო გავა, მისი გამოსვლა უფრო უინტერესო იქნებაო. უკვე 4 გადაცემა გავიდა ეთერში. გამართლდა თქვენი პროგნოზი?***

– ვფიქრობ, რომ გამართლდა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. თავად გადაცემის ფორმატი ძალიან არაბუნებრივია. ივანიშვილს თუ ტელევიზიის საშუალებით სურდა საზოგადოებასთან კომუნიკაცია, ისმის კითხვა: მაშინ რა აზრი აქვს რეგიონებში მოძრაობას? ამის გაკეთება სტუდიიდანაც შეეძლო. თუ მაინცდამაინც რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან სურდა პრესკონფერენციის გამართვა, ისინიც ჩამოვიდოდნენ თბილისში.

ერთი თვის განმავლობაში 10 პრესკონფერენციის გამართვა მოუწევს და, ფაქტობრივად, ერთ თემაზე მოუწევს საუბარი. ამით ის ვერაფერს მოიგებს. ბიძინა ივანიშვილი საზოგადოების თვალში მაინც პოზიტივის მოტანასთან ასოცირდება. ამ დროს მისი რიტორიკის უდიდესი ნაწილი ნეგატივზეა აგებული. ის ძალიან დიდ დროს უთმობს პოლიტიკური პარტიებისა და კონკრეტული პერსონების განქიქებას. ამის გარდა, ის ამტკიცებს, „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არა აქვსო, ოღონდ არა იმის გამო, რომ ისინი კარგები არიან, არამედ იმიტომ, რომ სხვები უარესები არიან.

ის ხშირ შემთხვევაში იმ პარტიებამდე და პერსონებამდე დადის, რომლებსაც პოლიტიკური თვალსაზრისით პულსიც არ ესინჯებათ. ივანიშვილი ამ თავდასხმებით ამ ადამიანებს რეკლამას უკეთებს. მისი სიტყვა უფასურდება.

***– სიტყვა რატომ უფასურდება?***

– იმიტომ, რომ ის ამ პერსონებამდე ჩამოდის. დრამატული სურათის დახატვა არ მინდა, მაგრამ ეს პროექტი მისთვის პერსონალურად საზიანოა. მის გარშემო შექმნილი მითიც იმსხვრევა.

მართალია, ეს მითი ისეთი აღარ არის, როგორიც 2012 წელს იყო, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ის მაინც დარჩა მითად. ასეთი დაწვრილმანებით იმ ამ მითს ამსხვრევს.

ყოფილი პრემიერი გაუმართლებლად ბევრს საუბრობს წვრილწვრილ პარტიებზე. განსაკუთრებული ყურადღება რესპუბლიკელებს დაუთმო. მაინტერესებს, რა უნდა ავნოს ივანიშვილმა ამათ. მათ კრიტიკა ვერაფერს დააკლებს.

***– რატომ ვერ დააკლებს?***

– ისინი ისედაც უიმედო მდგომარეობაში არიან და საარჩევნო ბარიერის გადალახვის არანაირი შანსი არა აქვთ. ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ რაც მეტს გალანძღავს ამ პარტიას, მით მეტ რეკლამას გაუკეთებს.

***– ის ადრე ძალიან აქებდა დავით უსუფაშვილს. ახლა გამუდმებით აკრიტიკებს. ამაზე რას იტყვით?***

– უსუფაშვილის გარდა, სხვებსაც ხშირად აკრიტიკებს, ალასანიასა და ნათელაშვილსაც ხშირად ახსენებს, არც გოგი თოფაძე დავიწყებია, აგერ, ჩოჩელიც გაიხსენა, რომელიც თურმე გოჩა ენუქიძეში აერია, მემარჯვენეებზეც კი ისაუბრა, არადა, ისინი აღარავის ახსოვდა.

ამიტომაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ეს სატელევიზიო პროექტი იყო დიდი შეცდომა. უკეთესი იქნებოდა, ის რეგიონებში მოსახლეობას შეხვედროდა.

***– თქვენი აზრით, რატომ არ ხვდება მოსახლეობას?***

– ვერ გეტყვით. ალბათ, ასე ურჩიეს ან თავად მიიღო გადაწყვეტილება.

***– ბოლო დროს ის ძალიან დიდი მონდომებით ლანძღავს ყოფილ თანამებრძოლებს. ამაზე რას იტყვით?***

– ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა და, ვისზეც რა უნდა, იმას იტყვის. საქართველოში საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს და მათ შორის არის ივანიშვილიც.

მართალია, ამის უფლება აქვს, მაგრამ ამდენიც არ შეიძლება. მუდმივად სხვა პარტიების განქიქება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის სახეს იღებს.





***– რას გულისხმობთ?***

– ეს 1.5 საათი, რა დროც ამ პროექტს ეთმობა, ფაქტობრივად, სარეკლამო ბლოკია. ხდება თუ არა ეს ყველაფერი წინასაარჩევნო შეზღუდვების არეალში, ბუნდოვანია. მე იურისტი არ და ვერ ვუპასუხებ ამ კითხვას, მაგრამ კითხვები ამ მიმართულებითაც ისმის. ამდენი ნეგატივი ივანიშვილს კარგ შედეგს არ მოუტანს.

***– ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ მან პაატა ბურჭულაძეს გვერდზე დადგომა სთხოვა, რის სანაცვლოდ ამ უკანასკნელმა დიდი თანხა მოითხოვა. იმ პერიოდში თქვენ ივანიშვილის გარემოცვაში იყავით. მართალია ეს ამბავი?***

– რაც ბურჭულაძესთან დაკავშირებით თქვა, ვადასტურებ. ამის თანამონაწილე თავად ვიყავი, თუმცა მოლაპარაკებების დეტალებს არ გავამხელ.

***– დავით ბაქარაძის გადმობირების მცდელობაზე რას იტყვით? განაცხადა, ერთი საათი ვეხვეწებოდი, ნაციონალებიდან წამოდიო. თქვენი აზრით, რატომ ესიმპათიურება ივანიშვილს ნაციონალები?***

– ესიმპათიურება თუ არა, ეს არ ვიცი. რაც შეეხება დავით ბაქრაძესთან დაკავშირებულ ისტორიას, მე არ მესმის, რაში სჭირდებოდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის გადმობირება. თუ ნაციონალური მოძრაობა რეჟიმი იყო, რაზეც 4 წელია გაუთავებლად გვესაუბრებიან, რატომ უნდა წამოეყვანა ამ პარტიიდან ადამიანი, არ ვიცი.

ეს რეჟიმი აბსტრაქცია არ გახლდათ და მას თავისი შემსრულებლები ჰყავდა. მე არ ვამბობ, რომ დავით ბაქრაძემ რაიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ამ ადამიანს რეჟიმის მიერ ნაკეთებ საქმეებზე მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება. მას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა და ქვეყანაში მეორე პირი იყო.

ივანიშვილს, ცხადია, ჰქონდა უფლება, დავით ბაქრაძისთვის ეთქვა, წამოდიო, მაგრამ ამ თემაზე საჯაროდ საუბარი არ არის გამართლებული. ეს მისი მომხრეების გაღიზიანებას იწვევს. ხალხი მაშინაც გაღიზიანდა, როცა მან მურუსიძე რეჟიმის მსხვერპლად გამოაცხადა.

***– თქვენი აზრით, რატომ გაიხსენა მან ბაქრაძის გადმობირებასთან დაკავშირებული ისტორია?***

– ამის ახსნა ჩემთვის ძნელია. ეტყობა, ივანიშვილს გულღიად საუბრის მოთხოვნილება აქვს.

***– პოლიტიკაში ეს გამართლებულია?***

– ის პოლიტიკოსი არ არის და თავისუფლად შეუძლია, თქვას ყველაფერი. უბრალოდ, ამას დადებითი ემოცია არ მოსდევს. არ შეიძლება, მურუსიძე იყოს მსხვერპლი, ხოლო ზურაბ ჯაფარიძე გმირად გამოაცხადო. არა მგონია, მას ამაში ვინმე დაეთანხმოს.

***– თანაპარტიელები მას ყველაფერში ეთანხმებიან, ბატონო გია.***

– თანაპარტიელები მიეჩვივნენ იმას, რომ არაფერზე არ უნდა იფიქრონ. მათ ასეთი დამოკიდებულება აქვთ – რაც არ უნდა თქვას ივანიშვილმა, ყველაფერი გენიალურია. გუნდის შიგნით კრიტიკული აზრი არ არსებობს. მისი ნათქვამი დოგმაა.

***– თქვენ კარგა ხანს იყავით მის გვერდით და იცით მისი ხასიათი. უყვარს ამ ადამიანს კრიტიკული აზრის მოსმენა.***



– კრიტიკული აზრის მოსმენა უყვარდა. ახლა მეჩვენება, რომ კრიტიკულ აზრს არ უსმენს. ის ძალიან შეიცვალა.

***– რა კუთხით შეიცვალა?***

– მან ირწმუნა საკუთარი შეუცდომლობისა და ზეადამიანობის. ამ აზრს გარემოცვაც უმაგრებს. მათ ეს სიტუაცია აწყობთ და ეცდებიან ამ სტატუს კვოს შენარჩუნებას. ისინი ივანიშვილს კიდევ დაარწმუნებენ, რომ ის ყველაფერში მართალია.

***– გამოდის, რომ გარემოცვა სიმართლეს არ ეუბნება?***

– ვერ გეტყვით, რა ინფორმაციებს აწვდიან. მე შემიძლია, წარსულზე გესაუბროთ. მასთან რომ ვიყავი, ასე ნამდვილად არ იყო.

ჩვენ ძალიან ხშირად გვიკამათია და საკმაოდ მწვავედაც. მას ყოველთვის აინტერესებდა ალტერნატიული მოსაზრებები და ყველას აზრს ისმენდა.

***– თქვენი აზრით, რამ შეცვალა?***

– ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი ბიოგრაფიაა. მას მართლა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ამან გაუჩინა შეგრძნება, რომ ის უშეცდომო და ყოვლისშემძლეა. ადრე წარმატებისთვის სჭირდებოდა პარტნიორები. ახლა პარტნიორები აღარ სჭირდება.

***– შეუცდომლობის განცდა დიდ შეცდომას ხომ არ დააშვებინებს?***

– არ ვიცი, დააშვებინებს თუ არა შეცდომას, უბრალოდ, რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს, შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს.

***– მისი მრჩეველი რომ იყოთ, რას ურჩევდით?***

– ვურჩევდი, რომ მოისმინოს და გაითვალისწინოს განსხვავებული აზრი. ეს მასაც წაადგება, მის გუნდსაც და ქვეყანასაც.

# გიორგი მარგველაშვილი: „ხალხს პრეზიდენტის არჩევის უფლებაც არ უნდა წაერთვას“



– პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ხალხს პრეზიდენტის არჩევის უფლებაც არ უნდა წაერთვას, – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გამართულ პრესკონფერენციაზე.

– ევროპულ სახელმწიფოებში არსებობს კონსტიტუციური მოწყობისა და მმართველობის სხვადასხვა ფორმა. ყველა მათგანი არის ლეგიტიმური და დემოკრატიული, თუმცა ეს საკითხი ზოგადად არის ფართო საზოგადოების გადასაწყვეტი და პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ხალხს ეს უფლებაც არ უნდა წაერთვას, – განაცხადა მიშველაძემ.

ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის პოზიციით, პრეზიდენტი ხალხმა კი არა, პარლამენტმა უნდა აირჩიოს.

* * *

– უშიშროების საბჭოს მდივნის დანიშვნა პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა. როგორც კი გადაწყვეტილებას მიიღებს, ამას თავად გაცნობებთ. პრეზიდენტს გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ აქვს, – განაცხადა ეკა მიშველაძემ.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია, რომ უშიშროების საბჭოს მდივნად შესაძლოა ლევან დოლიძე ან ვანო მაჭავარიანი დაინიშნოს, ეკა მიშველაძის თქმით, „არც ერთი კანდიდატურა განხილული არ ყოფილა“.

**ინტერპრესნიუსი**

# გორში მამაკაცი დაჭრეს




გორის ცენტრში, ცაბაძის ქუჩაზე, მამაკაცი დაჭრეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, დაჭრილი 40 წლამდე ასაკის მამაკაცია, რომელიც იმავე ქუჩის მცხოვრებია.

მეზობლების განცხადებით, დაზარალებული გორის სამხედრო ჰოსპიტალის ქირურგიულ განყოფილებაშია გადაყვანილი.

ამ წუთებში შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებიან და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცს ბასრი საგნით დაზიანება ველოსიპედით მოძრავმა პირმა მიაყენა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

რაც შეეხება მოტივს, ის ამ დროისთვის უცნობია.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „ქართულ ოცნებას" კრიზისი და არეულობა არ აწყობს"

## „მინისტრმა პროვოკაციების დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები უნდა წარმოადგინოს"

ნათია ხურცილავა

**ჯიპას პროფესორი, პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება გარკვეული პარტიების მხრიდან შესაძლო პროვოკაციებთან დაკავშირებით გაუგებარია, რადგან ეს იწვევს არა პრევენციას, არამედ მოქალაქეების დაძაბულობასა და შიშს.**

***— ბატონო თორნიკე, შინაგან საქმეთა მინისტრმა განცხადება გააკეთა მოსალოდნელ პროვოკაციებზე, თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, ვინ გეგმავს პროვოკაციებს. ღარიბაშვილის განცხადებით, არის ინფორმაციები, რომ რიგი პარტიები არჩევნების პერიოდში და არჩევნების შემდგომაც გარკვეულ პროვოკაციებს აპირებენ. როგორი უნდა იყოს ამ დროს ხელისუფლების პოზიცია?***

— შინაგან საქმეთა მინისტრმა, თუ, რასაკვირველია, არსებობს აღნიშნული ინფორმაცია, უნდა იმოქმედოს, კი არ უნდა ილაპარაკოს. ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო მოქმედებს ადეკვატურად, კანონის სრული დაცვით, ამ დროს უნდა მოხდეს საფრთხის აღკვეთა, პრევენციული ღონისძიების გატარება. ამ ყველაფრის შემდეგ უნდა გამოვიდეს შინაგან საქმეთა მინისტრი და საზოგადოება ჩააყენოს საქმის კურსში, არსებობდა საფრთხე და მოხდა მისი განეიტრალება. წინასწარ გამოსვლა და ამაზე საუბარი, რომ რაღაცას ველოდებით, უბრალოდ გაუგებარია, ყოველგვარ ზღვარს სცდება. ეს არ არის ადეკვატური საქციელი. წინასწარ შესაძლო დანაშაულზე არ საუბრობენ. ასევე რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრი გამოვიდა და განაცხადა, რომ დანაშაულმა იკლო, თუმცა მისი ბოლო განცხადება არ მოდის მის პირველ განცხადებასთან თანხვედრაში. ამის შემდეგ ბატონი მინისტრის განცხადებები, ცოტა არ იყოს, სკეფსისზს და ეჭვს იწვევს.

***— შეიძლება პრევენციის მიზნით კეთდება მსგავსი განცხადება?***

— გამორიცხული არაფერია. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ინფორმაცია მართლაც არსებობდეს და ვიღაც რაღაცას გეგმავდეს, მაგრამ ამ დროს სხვაგვარი ქმედებაა საჭირო, არ უნდა გამოხვიდე და მასზე არ უნდა ილაპარაკო, რადგან ეს იწვევს მოსახლეობაში გარკვეულ პანიკას, შიშს. ეს არ არის კარგი, მით უფრო, წინასაარჩევნო პერიოდში. ამ დროს პირიქით უნდა იქცეოდეს ხელისუფლება, სიტუაციის სტაბილიზაცია და დამშვიდება უფრო შედის ხელისუფლების ინტერესებში. იმედი მაქვს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა ხვდება, რომ მას კრიზისი და არეულობა ხელს არ აძლევს. პირიქით, სახელისუფლო გუნდს არჩევნების ჩატარება მშვიდ სიტუაციაში აწყობს. კრიზისი, საბოლოო ჯამში, მათვე დაარტყამს.

რაც შეეხება იმას, რომ შეიძლება ეს პრევენციისთვის გაკეთდა — როგორ, თუ მოსახლეობას დაძაბულობაში ამყოფებ, თან კონკრეტულ ფაქტებს არ წარუდგენ, თანაც ორი დღის წინ ეტყვი, რომ დანაშაულმა მოიკლო, ეს გამოიწვევს პირიქით რეაქციას, უნდობლობას უფრო გამოიწვევს, ვიდრე იმას, რომ მოქალაქეები მშვიდად იყვნენ და ნდობა ჰქონდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროსი. ამის კარგად გაცნობიერება უნდა მოხდეს.



***— თუ აქვს ინფორმაცია მინისტრს, არ უნდა ილაპარაკოს ამაზე, საზოგადოება არ უნდა გააფრთხილოს?***

— რასაკვირველია, უმთავრესი არის საზოგადოების ინფორმირებულობა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროს, როდის ეტყვი ამას საზოგადოებას და ასევე მნიშვნელოვანია მტკიცებულებების გაცნობა, რომ სარწმუნო იყოს ეს ყველაფერი. გამორიცხული მართლაც არაფერია, რეალურად არ არის გამორიცხული, რომ ვიღაც მართლაც აწყობდეს რაღაცას. ამის გამორიცხვა როგორ შეიძლება.

***— და ამ დროს როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოზიცია?***

— ჩვენ უნდა გავარჩიოთ, რაზეა საუბარი. თუ ვიღაც გეგმავს მშვიდობიან გამოსვლებს, პროტესტს, შეიძლება ეს პროტესტი მწვავეც იყოს, ძალიან მკვეთრი პოზიციები დაფიქსირდეს, უკიდურესად მწვავედ იყოს პოზიციები გამოხატული, მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება დემოკრატიის სტანდარტებში იყოს სრულად მოქცეული და კანონის არც ერთი ნორმა არ დაირღვეს. ვინც არ უნდა იყოს, რომელი პოლიტიკური პარტიაც არ უნდა იყოს. რასაკვირველია, ეს არ არის არავითარი არეულობა და დესტაბილიზაცია, ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს, დემოკრატიის, შეიძლება ვთქვათ, განუყოფელი ნაწილიც. ამას, რა თქმა უნდა, არ უნდა უძახო დამხობა და გადატრიალების მცდელობა. თუმცა, თუ მართლაც არის ინფორმაცია გადატრიალებაზე, გარკვეულ არეულობაზე, რა თქმა უნდა, ეს სხვა ამბავია და სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს მის აღსაკვეთად, მაგრამ ბრალდებას აუცილებლად სჭირდება მტკიცებულება. ჩვენ კარგად გვახსოვს, 2009 წელს ქალაქი პარალიზებული იყო და მთავარი პროსპექტი კარვებით იყო გადაკეტილი. ასევე უნდა გავიხსენოთ 2007 წელი, მაშინ როგორ განვითარდა მოვლენები და ამის გამო რა პოლიტიკური საფასურის გადახდა მოუწია მაშინდელ ხელისუფლებას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ნებისმიერი ხელისუფლებისთვის.

***— თუ როგორ ჩავატარებთ არჩევნებს, დავიცავთ თუ არა დემოკრატიის სტანდარტებს, ამაზე იქნება დამოკიდებული ევროკავშირთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამომავლო ურთიერთობა. მაგალითად, მივიღებთ თუ არა ვიზალიბერალიზაციას?***

— რასაკვირველია, დემოკრატიის სტანდარტის დაცვა არის ის უმთავრესი, რასაც დასავლეთი ითხოვს ჩვენგან, ისე არ იქნება, როგორც გვინდა ისე ჩავატარებთ ამ არჩევნებს და მორჩა. შეიძლება ეს არ იყოს გადამწყვეტი მიზეზი, რომ უვიზოდ მიმოსვლა დაგვიბლოკონ, მაგრამ თუ დემოკრატიული ნორმების დარღვევა იქნება, ამას მშვენივრად გამოიყენებენ საბაბად მაინც. მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება მიზეზი თუ საბაბი, მთავარია, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებენ. მაგალითად, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ტექნიკური ნაწილი მართლაც არის შესრულებული, მაგრამ მეორე ნაწილს რაც შეეხება, ჯერ კიდევ არის სამუშაო შესასრულებელი.

***— კონკრეტულად რა სამუშაოს გულისხმობთ?***

— პოლიტიკის დონეზე შესასრულებელ სამუშაოს. რამდენად ჰყოფნის ამას ჩვენი აქტიურობა, ეს საკითხავია. იყო რამდენიმე ვიზიტი, მაგალითად, გერმანიაში, მაგრამ რამდენად იყო ეს ნაყოფიერი, ამას ვნახავთ. მთავარი ფაქტორი არის რუსეთი, რადგან რუსეთი მუშაობს ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, მას არ უნდა ჩვენ მივიღოთ უვიზო მიმოსვლა. რუსეთს სერიოზული მოლაპარაკება ჰქონდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე, მაგრამ უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ცხადია, ეს მოლაპარაკებები შეჩერდა გაურკვეველი ვადით. გერმანია მაინც არის ევროკავშირის ლოკომოტივი, სადაც რუსეთს განსაკუთრებული ლობი ჰყავს. ამიტომ ვამბობ, რომ გერმანიასთან სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელია. თუ მართლაც რეალურად დემოკრატიული სტანდარტების სრული დაცვით ჩავატარებთ ამ არჩევნებს, ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ და სწორად ვიმუშაოთ პოლიტიკურად ევროკავშირთან. თუმცა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

---

# ხუნდაძემ ჩოჩელს კომპრომატი გამოუქვეყნა

## „მივმართავ საერთაშორისო დამკვირვებლებს, გამოიძიონ საგურამოს სკოლის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი"

შორენა მარსაგიშვილი

მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ცეზარ ჩოჩელი საჯაროდ უარყო, „ქართულმა ოცნებამ" მასზე იერიში მიიტანა. ჯერ გია ვოლსკიმ თქვა, ეს კაცი რაღაც თანხებს რიცხავსო, გუშინ, 13 სექტემბერს კი დიმიტრი ხუნდაძემ დოკუმენტები გაასაჯაროვა.

რამდენადაც „ახალი თაობისთვის" ცნობილი გახდა, ეს დოკუმენტები ხუნდაძემ უფრო ადრე მოიპოვა, მაგრამ ივანიშვილისგან მხარდაჭერის მიღებამდე მათი გასაჯაროება ვერ გაბედა. როგორც ამბობენ, „ოცნების" ელიტის ნაწილი ღიად უჭერდა ჩოჩელს მხარს. სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც ივანიშვილმა მცხეთის მოქმედ მაჟორიტარს ღიად დაუჭირა მხარი.

ახლა „ოცნება" ხუნდაძის კონკურენტს პრეტენზიებს უყენებს და საქმის შესწავლას ითხოვს.

დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, მისმა კონკურენტმა მას შემდეგ დაიწყო თანხების გადარიცხვა, რაც დეპუტატობის კანდიდატად დარეგისტრირდა.

— ცეზარ ჩოჩელი მცხეთის 37-ე ოლქში დამოუკიდებელ მაჟორიტარად 2016 წლის 15 აგვისტოს დარეგისტრირდა. ამ დროისათვის ცეზარ ჩოჩელი წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანიის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ანუ მმართველი ორგანოს უმაღლეს პირს. ამ კომპანიამ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს საჯარო სკოლას 2016 წლის 17 აგვისტოს ფინანსური მხარდაჭერის სახით გადაურიცხა 12.145 ლარი.



აშკარაა, რომ ეს გადარიცხვა მოხდა მას შემდეგ, რაც ცეზარ ჩოჩელი უკვე დარეგისტრირებული იყო მაჟორიტარობის კანდიდატად. მსურს, მივმართო უწყებათაშორის კომისიას, ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელს, შეისწავლონ ეს ფაქტი და გააკეთონ დასკვნა, — განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე ხუნდაძემ.

მისი და ჩოჩელის საჯილდაო ქალაქ მცხეთასა და მცხეთის რაიონში 29 სკოლა და 21 საბავშვო ბაღია. ხუნდაძის განმარტებით, 2016 წლის 17 აგვისტომდე მისი კონკურენტი არცერთ სასწავლო დაწესებულებას არ დახმარებია.

— ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში ვაშენებთ და ვარემონტებთ სკოლებს, ბაღებს. თუკი ვინმე სახელმწიფოს გვერდით დაუდგებოდა, უარს ნამდვილად არ ვეტყოდით, მაგრამ ცეზარ ჩოჩელს ქველმოქმედება მცხეთაში მხოლოდ საარჩევნოდ ახსენდება, როდესაც ხმების მიღება სურს დეპუტატობისთვის, — აღნიშნა დეპუტატმა.

არგუმენტების გასამყარებლად მან კიდევ ერთი მაგალითი მოიყვანა, რომელიც უკვე ახალგორელ ბავშვებს უკავშირდება. ეს ბავშვები თავიანთ მშობლებთან ერთად მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ.

— 2015 წელს ახალგორიდან დევნილი ბავშვები მიემგზავრებოდნენ საერთაშორისო ფესტივალზე ესპანეთში. მათ სამგზავრო თანხაზე დასამატებლად 2000 ლარი სთხოვეს ცეზარ ჩოჩელს, მაგრამ უარი მიიღეს. ამ ბავშვების გამგზავრება ესპანეთში ჩემი და კულტურის მინისტრის დახმარებით სრულად დაფინანსდა. დევნილმა ბავშვებმა ამ ფესტივალზე მთავარი პრიზი აიღეს. რაც შეეხება ცეზარ ჩოჩელის საარჩევნო ქველმოქმედებას, კიდევ ერთხელ მივმართავ უწყებათაშორის კომისიასა და საერთაშორისო დამკვირვებლებს, გამოიძიონ საგურამოს სკოლის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი. რაც შეეხება ჩოჩელის ე.წ. ქველმოქმედებას, მინდა განვაცხადო, რომ მცხეთელები ამით არ მოტყუვდებიან, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

* * *

სათანადო ორგანოებისთვის მიმართვას ცეზარ ჩოჩელიც აპირებს. მან უკვე დააანონსა, რომ „ოცნების" რამდენიმე ლიდერის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

---

# ირაკლი კობახიძე: „ნაციონალებიდან ქონავს ინფორმაცია, რომ არეულობას აპირებენ"

## გიორგი მღებრიშვილი: „დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ!"

შორენა მარსაგიშვილი

საარჩევნო არეულობებზე საუბარი ისევ აქტუალურია. აქამდე თუ ამაზე პარტიული ლიდერები საუბრობდნენ, ახლა უკვე შს მინისტრი და პრემიერიც ალაპარაკდნენ.

ჟურნალისტებთან საუბარში შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ არსებობს ინფორმაცია, თითქოს სხვადასხვა პარტიები არჩევნების მიმდინარეობისას და არჩევნების შემდგომ გარკვეულ პროვოკაციებს აპირებენ.

— ჩვენ ამ მიმართულებით მობილიზებულები ვართ. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, შინაგანს საქმეთა სამინისტროს აქვს ყველა ძალა და რესურსი, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდეს, — აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.



მოსალოდნელი არეულობის შესახებ ქვეყნის პრემიერიცაა ინფორმირებული. მღებრიშვილის განცხადების კომენტირებისას მან განაცხადა, რომ „მინისტრის საუბარს საფუძველი აქვს".

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი ვაშაძე: „ხათუნა ლაგაზიძეს პირველ ხუთეულში უნდოდა მოხვედრა“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პაატა ბურჭულაძის კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე აფასებს.**

*– ბატონო გიორგი, ბოლო პერიოდია, ბრალდებების ნიაღვარი მოდის თქვენი კოალიციის მისამართით. რა ხდება? გვესმის კოალიციიდან წასულების სკანდალური განცხადებები და ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილმა დააგვირგვინა.*

– ყველანი კარგად ვხედავთ, რა პროცესებიც მიმდინარეობს, თუ როგორ გვებრძვიან...

*– გაირკვა, ვისი სატელიტი ხართ, „ოცნების“ თუ ნაციონალების?*

– თქვენც ვერ გაიგეთ, ხომ? (იცინის)

*– თავად თუ იცით?*

– საქმე არის ძალიან მარტივად. ბოლო შიდა კვლევების თანახმად, ჩვენ გვაქვს საკმაოდ მზარდი რეიტინგი.

*– გაერთიანებამ არ დაგაზარალათ?*

– გაერთიანების შემდეგ კიდევ გაიზარდა ჩვენი რეიტინგი და აქედან გამომდინარე, ეს არის სერიოზული საფრთხე „ქართული ოცნებისთვის“, იმიტომ, რომ ის გადაუწყვეტელი ხმები, რომლებმაც არ იცოდნენ, თუ ვისკენ გაეკეთებინათ არჩევანი, ძირითადად ჩვენთან მოდის. აქედან გამომდინარე, ამოცანა „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც აქვს ძალიან კონკრეტული.

*– მაინც როგორი?*

– რომ მაქსიმალურად ტალახი გვესროლონ. პირდაპირი არგუმენტი არ არსებობს, ხალხმა რატომ არ უნდა მოგვცეს ხმა, ამიტომ ამ შეთქმულების თეორიებით და ჭორებით ცდილობენ, რომ ჩვენმა რეიტინგმა დაიწიოს.

ბიძინა ივანიშვილის ბოლო გამოსვლებში მუდმივი და მთავარი თემაა სწორედ ჩვენი ჯგუფი. ეს იხსნება მარტივად: „ქართულ ოცნებას“ არ აქვს რეიტინგი, საუბარი იმაზე, რომ ას კაცს გავიყვანთ, თვითონაც ხვდებიან, რომ არარეალურია. გამოჩნდა ჩვენი ძალა, რომელიცართმევს ხმებს. თვითონ, დაპირებაც კი არა აქვთ, იმდენად




რთულ მდგომარეობაში არიან. ამიტომ ცდილობენ, ოპონენტები დაგვასუსტონ. მისი ამოცანაა, რომ საპირისპირო ფლანგზე ჰყავდეს ნაციონალური მოძრაობა, რომლის რეიტინგიც რაღაც ზღვარს ზემოთ არ იზრდება. სწორედ ამიტომ არ აწყობს „ქართულ ოცნებას“, რომ ამ ველზე გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური ძალა. სწორედ ამიტომ გადმოდის ძირითადი დარტყმები ჩვენზე.

*– თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ტყუის, როცა აცხადებს, რომ პაატა ბურჭულაძემ უამრავი ფული მოსთხოვა?*

– არასერიოზულია ამ თემებზე საუბარი, პაატამ უამრავი ფული მომთხოვა, გიგი უგულავას ნაჩუქარი საათი ეკეთა, იქ კიდევ ჩემზე გაკეთებული განცხადებები. ეს არის გამიზნული და მიზანმიმართული დარტყმა ჩვენზე, რომ რამენაირად ჩვენი რეიტინგის ზრდა შეაჩერონ და ნეგატიური პროცესი დაიწყოს. ზუსტად ამას უკავშირდება იგივე რეგიონებში მუშაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისა და სუსის წარმომადგენლების...

## „გვებრძვიან იმიტომ, რომ მზარდი რეიტინგი გვაქვს“

*– სუსი რა შუაშია?*

– სწორედ მათი მხრიდან მიდის მუშაობა, რომ ვითომდა ჩვენმა მხარდამჭერებმა გააკეთონ განცხადება, რომ დატოვეს პოლიტიკური პარტია, რომ ეს ფონი შეიქმნას, თითქოს ბევრი ადამიანი მიდის ჩვენგან. რეალური სურათი სრულიად განსხვავებულია, პირიქით, ბევრი ადამიანი მოდის ჩვენთან, ბევრი ადამიანი ერთვება ამ საარჩევნო აქტივობებში.

*– გაქვთ კონკრეტული ფაქტები, რომ თქვენს მომხრეებზე ზეწოლა ხდება?*

– სწორედ ახლა დამირეკეს ხონის რაიონიდან, რომ მიდის გადაბირების პროცესი. ზოგან ცდილობენ, რომ მოისყიდონ, ზოგან მეგობრულად დაელაპარაკონ, ზოგან ზეწოლა მოახდინონ, რომ განცხადება გააკეთონ – მე ვტოვებ ამ პოლიტიკურ პარტიას.

*– ხათუნა ლაგაზიძეზე რას იტყვით? მასზეც ზეწოლას ჰქონდა ადგილი? მან საკმაოდ სკანდალური განცხადებების ფონზე დატოვა თქვენი გაერთიანება.*

– ხათუნა ლაგაზიძეს რაც შეეხება, პაატა ბურჭულაძის გუნდში გუნდური გადაწყვეტილება იყო, ვინ რომელ ადგილას უნდა ყოფილიყო სიაში. ხათუნას ჰქონდა ამბიცია, რომ ყოფილიყო პირველ ხუთეულში. ვერ მოხვდა, იმიტომ, რომ ეს იყო გუნდური გადაწყვეტილება პაატა ბურჭულაძის გარშემო არსებული გუნდის. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მაგარი სპეციალისტები არიან ჩვენს სიაში. იგივე დათო ჯანდიერი, ირაკლი ყიფიანი.

*– თუმცა ლაგაზიძე აცხადებს, რომ სია ერთპიროვნულად პავლე კუბლაშვილმა დააკომპლექტა. ამაზე რას*



*იტყვით? რა გავლენები აქვს ასეთი კუბლაშვილს?*

– ესეც ხომ არასერიოზულია. დათო ჯანდიერი კუბლაშვილმა შეიყვანა სიაში?! მეც ჩემი სრულიად დამოუკიდებელი პარტია მაქვს, კუბლაშვილი რა შუაშია, მაგალითად, ჩემს სიაში ყოფნასთან დაკავშირებით?!

*– იმ შუაშია, რომ წლების განმავლობაში ერთი გუნდის – ნაციონალური მოძრაობის წევრები იყავით. დღემდე საუბრობენ, რომ მათი ზეგავლენის ქვეშ ხართ და რომ პირადად საკაშვილია თქვენი მეთაური.*

– მე მესმის, რომ ამაზე საუბრობენ. არც ეს არის ჩემთვის პრობლემა. ისაუბრონ ამასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, თუნდაც ნაციონალურ მოძრაობაში როცა ვიყავი, ჩემი გაკეთებული საქმე ყველამ კარგად იცის. არც ამაზე საუბრები წარმოადგენს პრობლემას. დღეს მთავარი არის ის, რომ ჩვენ გვაქვს მზარდი რეიტინგი.

*– რა გავლენა აქვს ქურდული მენტალიტეტის მქონე პირებს თქვენს გაერთიანებაზე?*

– ესეც კურიოზულია, იმიტომ, რომ თუ ამდენი ხანი ქურდული მენტალიტეტის მქონე პირებს ხედავდა ქალბატონი ხათუნა ჩვენთან, მაშინ რატომ იყო ამდენი ხანი იქ და რატომ მაინცდამაინც სიის გამოქვეყნებას დაემთხვა ეს განცხადებები?! მე ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანებს არ ვიცნობ და ჩემი დამოკიდებულება ყველამ კარგად იცის ქურდული მენტალიტეტის მქონე პირებთან დაკავშირებით. ქურდი უნდა იჯდეს ციხეში! პოლიტიკაში მე ქურდი არ ვიცი!

კრიმინალებთან ვინც თანამშრომლობს წინასაარჩევნოდ, ეს არის სწორედ „ქართული ოცნება“. სწორედ ამიტომაც არის, ეს კრიმინალური აფეთქება რომ ხდება. თუნდაც ჩოხატაური ავიღოთ, აქაც ბევრია ქურდული მენტალიტეტის მქონე პირი, რომლებიც კაკო ჩხაიძეს ეხმარებიან. აქ ვარ და ამას ჩემი თვალით ვუყურებ. ერთი კონკრეტული ფაქტი მოიყვანოს ვინმემ, რომ ქურდული მენტალობის ხალხი დგას ჩვენი პოლიტიკური პარტიის გვერდით.

*– კონკრეტული გვარი დაასახელა ხათუნა ლაგაზიძემ.*

– გოგა კალაძემ თავად გასცა პასუხი. მართლა არასწორია ადამიანის ასეთი ლანძღვა და შეურაცხყოფა. მით უმეტეს, რომ ჩემზე გაცილებით დიდი ხანია იცნობს ხათუნა ლაგაზიძე მას და, მით უმეტეს, ამდენი ხანი მასთან ერთად მუშაობდა და თანამშრომლობდა.

# გიორგი კალაძე: „შემიძლია, ხათუნა ლაგაზიძე დავარწმუნო, რომ ჩემგან არავითარი საშიშროება არ ემუქრება“



– შემიძლია, ხათუნა ლაგაზიძე დავარწმუნო, რომ ჩემგან არავითარი საშიშროება არ ემუქრება. მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვი, რაც მე უნდა მეკეთებინა, მან მოახერხა – ეს არის პიარი, სამი დღეა, ტელევიზორში ვარ, – განაცხადა პაატა ბურჭულაძის პარტიიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში სიის პირველმა ნომერმა გიორგი კალაძემ ხათუნა ლაგაზიძის ბრალდებებთან დაკავშირებით.

კალაძის თქმით, ხათუნა ლაგაზიძეს მისგან საფრთხე არ ემუქრება და არც კრიმინალური წარსული ჰქონია. გიორგი კალაძე პროკურატურასთან თანამშრომლობასაც არ გამორიცხავს.

– შემიძლია დავარწმუნო, რომ ჩემგან არავითარი საშიშროება არ არის. მე საკმაოდ დაკავებული ვარ აჭარაში მუშაობით, საარჩევნო კამპანიით და დარწმუნება შემიძლია მაგ ქალბატონის, რომ არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ეს მისი სულელური გამოხტომებია...

პროკურატურაში დაბარების შესახებ ჟურნალისტებისგან გავიგე, მაგრამ არაფერი მაბრკოლებს იმისგან, რომ მივიდე და ერთხელ და სამუდამოდ დავუსვა წერტილი ქალბატონი ხათუნას უსაგნო ბრალდებებს.

მე ვიყავი 18 წლის, როცა საქართველოდან წავედი ბრიტანეთში სასწავლებლად და დავბრუნდი 2004 წელს. ამის მერე, თუ რამე დამიშავებია, ალბათ, აღრიცხული იქნება და ამის გადამოწმება არაა რთული. თუ რამე სხვა ინფორმაცია აქვს, წარუდგინოს პროკურატურას, – აღნიშნა კალაძემ.

მისივე თქმით, მას და ხათუნა ლაგაზიძეს პარტიაში ერთად მუშაობის დროს ჰქონდათ მცირე უთანხმოებები, თუმცა „ეს არ უნდა გახდეს საბაბი, ყოფილ თანაპარტიელებს ზიანი მიაყენო“.

**გიორგი კალაძე:**

– ვმუშაობდით ერთად რამდენიმე თვე, ყოველდღიური შეხება გვქონდა, გეგმებს ვსახავდით და ვახორციელებდით. ჩვენთან ყველაფერი განიხილებოდა გუნდურად, სადაც იყო კამათი, ხმის აწევები – ამას თუ გულისხმობს ზეწოლაში, არ ვიცი. რადგან სხვა კუთხით ვერ მოძებნა და აქვს გამოგონილი ცრუ ბრალდება, ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

მესმის, რომ სიაში ვერ მოხვდა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიზეზი, რომ პაატა ბურჭულაძის ბლოკს ზიანი მიაყენოს და მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანოს.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გიორგი რუხაძემ პაატა ბურჭულაძის პარტია დატოვა



გიორგი რუხაძემ პაატა ბურჭულაძის მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ დატოვა. ამის შესახებ რუხაძემ 13 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ძალიან მიჭირს იმის თქმა, რაც უნდა ვთქვა, მაგრამ მე ვტოვებ პაატა ბურჭულაძის პარტიას, რადგან ეს აღარ არის ბურჭულაძის მოძრაობა. ეს აღარ არის ალტერნატივა არც „ქართული ოცნების“, არც ნაციონალური მოძრაობის.

ეს აღარ არის ძალა, რომლის ლიდერია პაატა ბურჭულაძე. ეს არის ძალა, რომელსაც პავლე კუბლაშვილი და გიორგი მელაძე მართავენ და ემსახურება ბიძინა ივანიშვილის ინტერესს, – განაცხადა რუხაძემ და დასძინა, რომ თუ „სახელმწიფო ხალხისთვის“ ბარიერს გადალახავს, ეს პოლიტიკური ძალა პარლამენტში „ქართული ოცნების“ დამატება გახდება.

ამის პარალელურად მან აღნიშნა ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილმა პაატა ბურჭულაძე, როგორც პოლიტიკოსი, გაანადგურა.

– პაატა ბურჭულაძე თავდაპირველად დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს თამაშობდა, თუმცა ივანიშვილმა მას ყველა ფინანსური არხი ჩაუკეტა და შემდეგ გაუხსნა ერთი არხი „გირჩის“ სახით.

ახლა ივანიშვილი ფიქრობს, ღირს თუ არა, აღნიშნულმა ძალამ ბარიერი გადალახოს და, როგორც კატა თაგვს, ისე ეთამაშება, – დასძინა რუხაძემ. რაც შეეხება თავად გიორგი რუხაძის სამომავლო გეგმებს, ის აცხადებს, რომ რჩება ძალიან აქტიური საჯარო სივრცეში.

ინტერპრესნიუსი

# ირაკლი კობახიძე: „ნაციონალებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ არეულობას აპირებენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კვირიკაშვილის თქმითვე, შს სამინისტროს იმის რესურსიც აქვს, მოსალოდნელი პროვოკაციები აღკვეთოს.

მთავრობის წევრებს მხარი საკანონმდებლო ორგანოშიც აუბეს, დეპუტატებიც ამტკიცებენ, რომ ისინიც ფლობენ ანალოგიურ ინფორმაციას.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ შს მინისტრს მასზე უფრო მეტი ინფორმაცია აქვს. ამის მიუხედავად, ის ამრევებსაც ასახელებს.

– ისეთი პოლიტიკური ჯგუფიდან, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა, არაფერს გამოვრიცხავ, მათ შორის არც იმას, ჰქონდეს მცდელობა, რომ გარკვეული პროვოკაციები მოაწყონ და საარჩევნო პროცესში გარკვეული არეულობა შეიტანონ, რადგან შედეგის მიღწევის ერთადერთ შანსს ისინი ამაში ხედავენ. სხვა მხრივ, სტაბილურ, თავისუფალ გარემოში ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად გაბანკროტებულია, – განაცხადა კახიანმა.

კახიანის მსგავსად, პოტენციურ ამრევებს ასახელებს „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძეც. მისი თქმით, ინფორმაცია თავად ნაციონალებისგან აქვს.

– ნაციონალური მოძრაობა პროვოკაციებს რომ გეგმავს, ინფორმაცია ამის შესახებ პარტიიდან ჟონავს, – აცხადებს კობახიძე.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებიდანაც მიუვიდათ.

– გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა ამ ეტაპზე გასაჯაროებისგან თავს ვიკავებთ და, როგორც კი გვექნება ინფორმაცია ამ პროვოკაციის დანაშაულებრივ მხარეებზე, მაშინვე მივმართავთ შესაბამის უწყებებს, – აღნიშნა „ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა.

# დავით უსუფაშვილი: „სირცხვილია, ბატონო ბიძინა!“

– სირცხვილია, ბატონო ბიძინა! სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება იმიტომ, რომ, პირველ რიგში, მას დე ფაქტო ბოიკოტი გამოუცხადა ნაციონალურმა მოძრაობამ, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო საკითხები გვერდზე გადადო.

უსუფაშვილი ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის შეფასებას გამოეხმაურა, რომ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დავით უსუფაშვილს „თითი თითზე არ დაუდია“.

მისი განმარტებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ იმუშავა არა 4 წლის, არამედ ერთი წლის და 7 თვის განმავლობაში.

– ამ ხნის განმავლობაში, კომისიაში შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი. დოკუმენტი, რომელშიც არის 101 ძალიან კონკრეტული წინადადება კომისიაში შემოტანილი ძალიან კონკრეტული ავტორების მიერ.

მე გთავაზობთ ყველა დაინტერესებულ პირს, შეხვიდეთ პარლამენტის ვებგვერდზე, ნახოთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დოკუმენტები და თქვენი თვალით ნახოთ და დარწმუნდეთ, ვინ არის ავტორი ამ დოკუმენტის. ამ დოკუმენტის ნახევარზე მეტი მომზადებულია ვახტანგ ხმალაძისა და რესპუბლიკელების მიერ. ეს არის ფაქტი. ამ დოკუმენტში იპოვით ორჯერ ან სამჯერ პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ნალვაწს.

ქალბატონი მანანა კობახიძეც, რომელიც აქტიურობდა სამუშაო ჯგუფში, სამწუხაროდ, თავადაც ვერ ახერხებდა კვორუმის შეკრებას. დანარჩენი აქ არის არასამთავრობოების, ექსპერტების და რესპუბლიკელების წინადადებები. ეს არის თითი თითზე არ დადებული?

მეორე ფაქტი, იმავე ვებგვერდზე შეხვალთ და ნახავთ სამუშაო ჯგუფების სხდომებზე დასწრების სიას. ვნახოთ, ვინ დადიოდა სხდომებზე და ვინ არ დადიოდა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება იმიტომ, რომ, პირველ რიგში, მას დე ფაქტოდ ბოიკოტი გამოუცხადა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელსაც არაფერი აღელვებდა ამ ქვეყანაზე ბოლო 4 წლის განმავლობაში, გარდა საკუთარი თავისა და „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ეს ქვეყანა სამართავად და, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო საკითხები გადადო გვერდზე, – განაცხადა უსუფაშვილმა.

იმის დასამტკიცებლად, რომ „წელიწად-ნახევარი არ იჯდა და მუშაობდა“, უსუფაშვილმა ერთი კონკრეტული დოკუმენტიც წარმოადგინა.

მისივე თქმით, დოკუმენტში საუბარია კოალიცია „ქართულ ოცნების“ პოლიტსაბჭოსთვის შეთავაზებულ სასწრაფოდ განსახილველ საკითხებზე, რასაც „რეაგირება არ ჰქონია“.

* * *

უსუფაშვილმა მედიასთან შეხვედრაზე გაიხსენა, რომ 2013 წელს „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელება ბიძინა ივანიშვილის თხოვნით შეჩერდა და ამის მიზეზებიც განმარტა.

– უშიშროების საბჭო მრავალტანჯული ორგანოა. ამიტომ ვისურვებდი, ისეთი მდივანი დაინიშნოს, რომელიც ამ ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას შეძლებს იმ ვითარებაში, სადაც ვართ. თუმცა, იმედი მაქვს, რომ უარესი გავლილი გვაქვს. სხვათა შორის, „უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონიც იყო ერთ-ერთი, რომელიც ბატონმა ბიძინამ მთხოვა და შევაჩერეთ 2013 წლის შემოდგომაზე, როდესაც კანონმდებლობა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოგვყავდა. მაშინ ცვლილებები 170 კანონში შევიტანეთ იმისდა მიხედვით, კონსტიტუციის ახალი ვერსია ვის რა უფლებებს აძლევდა. მაშინ ბატონმა ბიძინამ მითხრა: გიორგი მარგველაშვილი ცოტა უკმაყოფილოა, რომ ეს კანონი მთლად გამოშიგნულია და პრეზიდენტს აღარაფერი უფლება რჩებაო.

მე ვუთხარი, კარგით, ოღონდ დავმშვიდდეთ და დავწყნარდეთ და ამ პროექტს არჩევნების მერე მოვუბრუნდეთ-მეთქი. არჩევნები შემდეგ მოვბრუნდით და ახლა უკვე პირიქით იყო ეს პოზიციები. უშიშროების საბჭო არის ძალიან სერიოზული ორგანო და მისი მდივანი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ძალიან სერიოზული ჭკუადამჯდარი თავის საქმეში და თავის მიმართულებით გამოცდილი ადამიანი. არა მაინცდამაინც, ვიხმარ ამ სიტყვას – „ლიუბიმჩიკი“ ანუ უშიშროების საბჭოს მდივანი კიდევ უფრო სიტყვამოვლილი და პოლიტიკურ ბატალიებში ნაკლებად ჩართული უნდა იყოს. დანარჩენი, ეს არის პრეზიდენტის პრეროგატივა, – განუცხადა ჟურნალისტებს უსუფაშვილმა.



* * *

– აქედან გავალთ თუ არა, მე და ვახტანგ ხმალაძემ ეროვნული მასშტაბის პროვოკაციები უნდა დავგეგმოთ, რომლითაც უნდა დავამხოთ ეს ქვეყანა. გთხოვთ, გამოიძიოთ ეს საქმე ჟურნალისტურადაც და სხვანაირადაც.

ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტების კითხვას, რომელიც საარჩევნოდ, რიგი პარტიების მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციებზე შს მინისტრის განცხადებას ეხება.

**დავით უსუფაშვილი:**

– შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისმგებელია ქვეყანაში წესრიგზე. არ მიკვირს, თუ მინისტრი გარკვეულ პრევენციას აკეთებს, თუმცა მგონია, რომ ბატონი გიორგი საკმაოდ გონიერი ადამიანია და წინასაარჩევნო პერიოდში, წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესში შსს-ს როლს და ადგილს სწორად და კარგად დაინახავს.

ჩვენ მინისტრისგან, მთავრობისგან გვჭირდება არა ზოგადი ვარაუდები იმის თაობაზე, რომ პროვოკაციებია მოსალოდნელი – ამას პოლიტიკოსები ერთმანეთს მარტივად აბრალებენ ხოლმე, არამედ გვჭირდება ფაქტები, ან გახსნილი საქმე, ან შეკავებული დანაშაული, ან არჩადენილი, გახსნილი, მზადების პროცესში და ა.შ. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ჩვენდაუნებურად სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვას შევუწყოთ ხელი, – განაცხადა უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

დავით უსუფაშვილი გიორგი მღებრიშვილს მიმართავს, მისი გამოსვლების ამ ნაწილს მეტი ყურადღება მიაქციოს. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, „ამაზე საუბარი კი არა, ქმედებაა საჭირო და გამოვლენა, თუ ვინმემ რამე იცის“.

– 1-2 დღის წინ, როდესაც ერთ-ერთ კონკრეტულ ფაქტზე, სამტრედიის ტრაგედიაზე საუბრობდა, ბოლოს იმით დაასრულა, რომ „ყველამ იცის, ჩვენ გავიმარჯვებთ და ამიტომ ეძებენ ვილაცები რაღაც გზებს“.

მე მინდა ვუთხრა მასაც და ყველას, რესპუბლიკური პარტია შსს-ს წინააღმდეგ არ იბრძვის. ჩვენ სახელმწიფოს არ ვეჯიბრებით არჩევნებში, ჩვენ მთავრობასთან არ გვაქვს კონკურენცია, რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკურ პარტიას ჰყავს თავისი წარმომადგენლები ამ არჩევნებში და ისინი მონაწილეობენ, თავის სათქმელს ამბობენ და იტყვიან.

მინისტრისგან, რომელიც თავისი კონკრეტული საქმის კეთების პროცესშია, ჩვენ ველოდებით უფრო იმ საქმის კეთებას, რაც საკეთებელია. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობა ძალიან ნათლად ჰყოფს, ავლებს ზღვარს – მაგალითად, პარლამენტის წევრს რა შეუძლია, მინისტრს რა შეუძლია, და ა.შ. იმის თქმა მინდა, რომ წესრიგი აუცილებელია. მე ყველა არჩევნების წინ, ბოლო ხანებში, მქონდა განცდა, რომ შესაძლოა ზოგ პოლიტიკურ პარტიას ჰქონოდა სხვა ტიპის დამხმარე საშუალებები არჩევნების დროს, მე ამას არ გამოვრიცხავ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ძალიან დაძაბულ სამეზობლოში ვიღაც სხვას ჰქონდეს რაღაც სურვილები, მაგრამ ამაზე საუბარი კი არა, ქმედებაა საჭირო და გამოვლენა, თუ ვინმემ რამე იცის, – განაცხადა უსუფაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**




# „ჩემები“ – მაგთიკომის პირველი შეთავაზება მომხმარებელს კავკასუს ონლაინის შეძენის შემდეგ

„კავკასუს ონლაინის“ აქტივების შეძენის შემდგომ კომპანია „მაგთიკომი“ პირველი და ერთადერთი ოპერატორია, რომელიც სრულ საკომუნიკაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს და მომხმარებელს მომსახურებას მსოფლიოში არსებული ყველა ტექნოლოგიით სთავაზობს:

– 2 ტიპის ინტერნეტი – მობილური და ოპტიკურ-ბოჭკოვანი;

– 2 ტიპის ტელევიზია – სატელიტური და IPTV;

– 2 ტიპის ფიქსირებული ტელეფონია – რადიო და საკაბელო;

– მობილური ტელეფონია – რომელიც მობილური ტელეკომუნიკაციის ყველა საფეხურს მოიცავს:2G, 3G, 4G ქსელებს. ამასთანავე საქართველოში პირველად, მხოლოდ მაგთიკომის აბონენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგიით – 4.5 GLTE Advanced ქსელით.

ორი ახალი მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი და IPTV)დამატების პარალელურად გაჩნდა ახალი კომბინაციების შექმნის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, კომპანიას შეუძლია სულ ახალ-ახალი პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლისთვის და მაგთიკომმაც დაიწყო „ჩემებით“.





„ჩემები“ – ეს არის ინტერნეტის ან ტელევიზიის პირველი კომბინაცია მობილურ სერვისთან. კერძოდ, თუ გაქვთ მაგთის ინტერნეტი ან IP ტელევიზია, შეგიძლიათ ისარგებლოთ ექსკლუზიური პირობით მობილურზე – აირჩიოთ ოჯახის 4 წევრი და ისაუბროთ ერთმანეთთან ულიმიტოდ, თითო წევრზე თვეში ერთ ლარად.

ამ პროდუქტის განსაკუთრებულობა იმაში გახლავთ, რომ არჩეული პირები ერთმანეთშიც ულიმიტოდ საუბრობენ. ამასთანავე, შესაძლებელია, თითოეული ნომერი მონაწილეობდეს სხვადასხვა ბმაში – შეგიძლიათ შექმნათ თქვენეული „ჩემების“ ჯგუფი და, ამავდროულად, მოხვდეთ სხვა ნომრიდან შექმნილ ჯგუფში. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ 3 ან 2 მოსაუბრიანი ბმაც.

„ჩემებით“ შეგიძლიათ ისარგებლოთ სხვა სერვისების პარალელურად. მაგალითად, სარგებლობდეთ კორპორატიული ნომრით და თქვენივე ნომრიდან შექმნათ სასურველი ჯგუფი, ან გააქტიურებული გქონდეთ „ულიმიტო 25“ და დაიმატოთ „ჩემები“.

პროდუქტის გააქტიურება პირდაპირ ტელეფონიდანაა შესაძლებელი. არსებობს მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობა – თქვენ უნდა გქონდეთ მაგთის ინტერნეტი ან IP ტელევიზია!..

როგორც კომპანიაში აღნიშნავენ, მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება მაგთიკომის მთავარი პრიორიტეტია და მუშაობა ახალ ინოვაციურ პროდუქტებზე უწყვეტად გრძელდება.

**მაგთიკომის მარკეტინგის დირექტორი თამარ გაჩეჩილაძე:**„კავკასუს ონლაინის“ აქტივების შეძენის შემდგომ „ჩემები“ პირველი ახალი პროდუქტია. ახალი შეთავაზება მთლიანად მომხმარებლების ინტერესებზეა მორგებული და ოჯახის (ჯგუფის) 4 წევრის ულიმიტო ურთიერთსაუბრის საშუალებას იძლევა. თითოეულ არჩეულ წევრზე თითო ლარად. „მაგთიკომი“ არ დაარღვევს ტრადიციას და სამომავლოდ მომხმარებელს კიდევ ბევრ ინოვაციურ პროდუქტსა თუ სიახლეს შესთავაზებს.“

**ანა ვაჩნაძე**

# ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა

**ბათუმში საერთაშორისო საზღვაო კონფერენციაზე გამოსვლისას ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საზოგადოებას აცნობა, რომ საქართველომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას მიაღწია.**



**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– მივაღწიეთ უპრეცედენტო შედეგს ჩინეთიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამ მოლაპარაკების შედეგად, ჩვენი პროდუქციის და მომსახურების 95%-ზე მეტი ჩინეთის ბაზარზე შევა ყველანაირი დამატებითი გადასახადების გარეშე.

ჩვენი ღვინო, მინერალური წყლები და აგროპროდუქტები ნულოვანი ტარიფითა და ყოველგვარი გარდამავალი პერიოდის გარეშე შევა ჩინეთში. ეს არის უპრეცედენტო შეთანხმება, რომელიც მოკლე დროშია მიღწეული. ჩინეთს მანამდე აგრო პროდუქტებზე ყოველგვარი გარდამავალი პერიოდის გარეშე არავისთან გაუნულებია საბაჟო ტარიფები, ჩვენ კი ეს შეღავათი ხელშეკრულების გაფორმებიდანვე გვექნება.

მისივე თქმით, თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან მას შემდეგ ამოქმედდება, რაც მიღწეულ შეთანხმებას მოეწერება ხელი, შემდეგ კი მისი რატიფიცირება მოხდება ორივე ქვეყნების პარლამენტის მიერ.

– ჩინეთში 2 მილიონ ექვსასი ათასი ბოთლი ღვინო გავყიდეთ გასულ წელს, წელს 5 მილიონამდე გვაქვს გათვლა. ეს შეთანხმება დიდი წარმატება იქნება და კონკურენტუნარიანს გახდის ქართულ ღვინოს, – განაცხადა მინისტრმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა კი განაცხადა, რომ საქართველომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები უპრეცედენტოდ მოკლე დროში, 7 თვეში წარმატებით დაასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ პროდუქციას გაეხსნება მსოფლიოში ყველაზე დიდი – 1,4 მილიარდი მომხმარებლის ბაზარი.

გიორგი კვირიკაშვილი:

– გარდამავალი პერიოდის გარეშე, ქართული ღვინო იქნება დაშვებული ჩინურ ბაზარზე, ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე. წელს ჩვენ ველოდებოდით 2,5 მილიონი ბოთლის გაყიდვას ჩინურ ბაზარზე და უკვე 8 თვის მონაცემებით, 3,5 მილიონი ბოთლია გაყიდული.

ჩვენ ვავითარებთ ქართული ღვინის მაღაზიების ქსელს ჩინეთში და ვფიქრობთ, რომ ჩინეთი გახდება ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება და არა მხოლოდ ღვინის, ბევრი სხვა სასაქონლო დასახელების მიმართულებით. ეს არის უდიდესი მიღწევა და ვფიქრობთ, აბრეშუმის გზის პროექტის განვითარებისთვის ამას ექნება დიდი მნიშვნელობა, – აღნიშნა პრემიერმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობის მიერ რეკორდულად მცირე დროში მიღწეული უპრეცედენტო შეთანხმება საქართველოდან ჩინეთის რესპუბლიკაში ღვინის, მინერალური წყლებისა და სხვა აგროპროდუქტების ნულოვანი ტარიფით შესვლას გულისხმობს.

– ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა. აღნიშნული შეთანხმება სწორედ აქტიური თანამშრომლობის ნათელი მაგალითია.

ქართული აგროსასურსათო პროდუქციისთვის მსოფლიოს უდიდესი ბაზარი (1.4 მილიარდი მომხმარებელი) გაიხსნა, რაც აგროსასურსათო სექტორისთვის ახალი სუნთქვა, დიდი შესაძლებლობა იქნება. აგროსასურსათო სექტორი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სავაჭრო ბარიერების მიმართ. შესაბამისად, ჩინეთის ბაზარზე აგროსასურსათო პროდუქციის ნულოვანი ტარიფით შესვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ლევან დავითაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ის უპრეცედენტო გადაწყვეტილება რაც ჩინურმა მხარემ ქართულ ღვინოსთან მიმართებაში მიიღო.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართულ ღვინოზე ნულოვანი საბაჟო ტარიფი გარდამავალი პერიოდის გარეშე დაწესდება (ზოგიერთ ქვეყანასთან ჩინეთს ღვინის ტარიფის გასანულებლად ათწლიანი გარდამავალი პერიოდი აქვს დაწესებული).

აღსანიშნავია, რომ ჩინეთს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში, ასეთი გადაწყვეტილება არცერთ ქვეყანასთან არ მიუღია.

გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ამოქმედდება და 2017 წლის მეორე ნახევრიდან ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინო, მინერალური წყლები და აგროპროდუქტები ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე შევა. ეს ნიშნავს, რომ საბაჟო გადასახადი ქართულ ღვინოს მოეხსნება, რაც ბევრად კონკურენტუნარიანს გახდის მას.

მინისტრის განცხადებით, ჩინეთის ბაზარი უკვე ტრადიციული ბაზრების რეალური ალტერნატივა გახდა. ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნებს შორის ჩინეთი უკვე მეორე ადგილზეა. ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ კი, ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ლევან დავითაშვილმა ქართული ღვინის ექსპორტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 28.156.547 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 42%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთში ზრდამ 184% შეადგინა, სულ განვლილ 8 თვეში ექსპორტირებულია 3 368 361 ბოთლი.

პირველად ქართული ღვინის ექსპორტის ისტორიაში, მიმდინარე წლის აგვისტოში ჩინეთმა ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მესამიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლა და გადაასწრო ისეთ ტრადიციულ ბაზარს, როგორიც უკრაინაა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (14.664.610), ჩინეთი (3.368.361), უკრაინა (3.042.192), ყაზახეთი (2.287.826 ბოთლი) და პოლონეთი (1.367.960).

სოფლის მეურნეობის მინისტრმა რთველი 2016-ის მიმდინარეობაზეც ისაუბრა. როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, 13 სექტემბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 18,4 ათასამდე ტონა ყურძენი. აქედან 7,1 ათასი ტონა რქაწითელი, 9 ათასი ტონა საფერავი, 960 ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. განვლილ დღე-ღამეში ღვინის კომპანიების მიერ გადამუშავდა 2 ათასამდე ტონა ყურძენი, რაც 2016 წლის რთველის ყველაზე მაღალი დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელია.

ღვინის კომპანიებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად კახეთის რეგიონის მევენახეებმა შემოსავლების სახით 15,2 მლნ ლარი მიიღეს.

ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დღეს ბათუმში, ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას მიაღწია.

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# „თიბისი ბანკი“ „ბანკ რესპუბლიკის“ აქციებს ყიდულობს

„თიბისი ჯგუფმა“ და ფრანგულმა „სოსიეტე ჟენერალმა“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, „თიბისი ბანკი“ „ბანკ რესპუბლიკის“ აქციების 93.64%-ს 315 მილიონ ლარად შეიძენს. ამ გარიგებით, დეპოზიტებისა და სესხების მიხედვით, „თიბისი ბანკი“ ბაზარზე №1 ბანკი ხდება. ამასთანავე, ეს ტრანზაქცია უდიდესი იქნება ქართული საბანკო სექტორის ისტორიაში და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მოვლენას საქართველოს ფინანსურ ბაზარზე.

„თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ, მისმა მოადგილე ბადრი ჯაფარიძემ და „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ პრესკონფერენცია გამართეს.



„თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, „ბანკ რესპუბლიკის“ შეძენა სრულად შეესაბამება „თიბისი ბანკის“ სტრატეგიას და იძლევა უდიდეს შესაძლებლობას მნიშვნელოვანი სინერგიისთვის, ვინაიდან „ბანკი რესპუბლიკა“ არის მყარი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ლიდერი ბანკების ხუთეულში შედის.

როგორც ირკვევა, 315 მილიონ ლარის 70% გადახდილი იქნება ნაღდი ანგარიშსწორებით, ხოლო 30% თიბისი ბანკის ახლადგამოშვებული აქციებით, რის შედეგად, ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ ხდება თიბისი ბანკის აქციების 5.4%-ის მფლობელი. შესაბამისად, ის „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი იქნება. მხარეები ასევე შეთანხმდნენ საქართველოში სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

რაც შეეხება „ბანკ რესპუბლიკის“ აქციების დარჩენილ 6.36%-ს, რომელიც „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ (იბიარდი) ეკუთვნის, „თიბისის“ უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკებები ამ აქციების გამოსყიდვაზე.

ამ გარიგებით, „თიბისი ბანკის“ პოზიციები ყველა საოპერაციო სეგმენტში ძლიერდება, განსაკუთრებით, საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით; კლიენტების რაოდენობა მიუახლოვდება 2 მილიონს; კიდევ უფრო გაფართოვდება „თიბისი ბანკის“ მომსახურების ქსელი – მთელი საქართველოს მასშტაბით, ფილიალების რაოდენობა გაიზრდება 170-მდე, ხოლო ბანკომატების – 517-მდე;

**მამუკა ხაზარაძე:**

– მოხდა საკმაოდ სერიოზული ორი ბანკის – „თიბისი ბანკისა“ და „ბანკ რესპუბლიკის“ კონსოლიდირება. ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ვიქნებით „სოსიეტე ჟენერალის“ ოფიციალური წარმომადგენლები და პარტნიორები საქართველოში. ეს არის ყველაზე დიდი გარიგება ქართულ საბანკო ისტორიაში და ამით „თიბისი ბანკი“ უახლოეს ხანში გადავა 250 ყველაზე მსხვილი კომპანიის რიცხვში ლონდონის ბირჟაზე.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე:**

– „ბანკ რესპუბლიკის“ ყიდვის გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია „თიბისი ბანკის“ გრძელვადიან სტრატეგიასთან და წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს ჩვენი მიზნების შესასრულებლად, რომ გავხდეთ ლიდერი ბანკი საქართველოსა და კავკასიის რეგიონში.

ახალი მფლობელების თქმით, მომავალში გაერთიანების შემდეგ „ბანკი რესპუბლიკა“ განაგრძობს „თიბისი ბანკის“ ბრენდით არსებობას. შესაბამისად, შეიცვლება როგორც ფილიალების, ასევე მთლიანად საკომუნიკაციო მასალის ბრენდირება.

ახალ მფლობელებს ასევე ეიმედებათ „ბანკ რესპუბლიკის“ პროფესიონალი და გამოცდილი თანამშრომლების და იმედოვნებენ, რომ მათი დახმარებით წარმატებულად გააგრძელებენ საბანკო საქმიანობას და შესთავაზებენ კლიენტებს საუკეთესო მომსახურებას, უკვე როგორც ყველაზე დიდი ბანკი საქართველოში.

ტრანზაქციის დასრულება დაგეგმილია 2016 წლის ბოლომდე.

# სალომე ზურაბიშვილი: „ჩვენ ევროპულად საქართველოში უნდა ვიცხოვროთ“

## „ამომრჩევლის ნებას ყველაზე კარგად მაჟორიტარი დეპუტატები წარმოადგენენ“

გულიკო ბალაძე

მართალია, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს №1 (მთაწმინდის) საარჩევნო ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია, მაგრამ „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს „ქართული ოცნებისა“ და ემიგრაციის წინაშე.

***– ქალბატონო სალომე, როგორც ვხედავ, თქვენ საარჩევნო კამპანია ორიგინალურ საღამოებად აქციეთ. ამას წინათაც შევესწარი ასეთ საღამოს. რატომ აირჩიეთ მოსახლეობასთან ასეთი საუბრების ფორმა? როგორ მიმდინარეობს თქვენი საარჩევნო კამპანია? ხელს ხომ არ გიშლიან?***

– ხელს არავინ მიშლის. საარჩევნო კამპანია სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. ყოველ პარასკევს, საღამოს, ე.წ. ალექსანდროვის ბაღში ვმართავ შეხვედრებს, რაც მაძლევს საშუალებას, წარმოვადგინო ჩემი პრიორიტეტები სხვადასხვა საკითხებზე.

***– პროგრამას წარმოადგენთ?***

– როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს, პარტიული პროგრამა ვერ მექნება. სამაგიეროდ, ყველა მნიშვნელოვან თემაზე, რომელიც პარლამენტში ჩემთვის მთავარი იქნება, ვსაუბრობ.

***– რამდენადაც ვიცი, ბოლო შეხვედრის თემა ევროპულობა იყო.***

– ევროპულობა, როგორც ჩვენი ცხოვრების წესი. ევროპული სტანდარტები უნდა შემოვიტანოთ ქვეყანაში, რომ ჩვენ აქ ვიცხოვროთ ევროპულად და არ ვეძებოთ ჩვენი თავი სადღაც ევროპაში, სადაც ვერ ვპოულობთ. ეს მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას – ჯანმრთელობის დაცვას, ადამიანის დაცულობას და სხვა.

***– ამ მხრივ ჩვენთან არსებულ ვითარებას როგორ აფასებთ?***

– ამ მიმართულებით ბოლო წლებში ძალიან დიდი პროგრესი განვიცადეთ. ის, რაც ციხეებში ხდებოდა, აღარ ხდება. თუმცა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ ამ ქვეყანაში ადამიანი სრულიად დაცული იყოს ეკონომიკურად, სოციალურად.

***– მათ შორის, თქვენთვის მნიშვნელოვანი რა არის?***

– ჩემთვის მნიშვნელოვანია ბავშვებისა და მარტოხელა დედების დაცულობა საზოგადოებაში. მომავალში ჩემთვის, როგორც პარლამენტის წევრი ქალისთვის, ამ საკითხების გადაწყვეტა ბევრს ნიშნავს.

***– სიმბოლური არ არის, რომ თქვენ მთაწმინდის №1 ოლქში იყრით კენჭს?***

– შეიძლება. თვითონ მთაწმინდა არის თბილისის სიმბოლო, საქართველოს ცენტრი და უნდა ვიფიქროთ მის დაცულობაზე.

***– ფიქრობთ, რომ მთაწმინდა დასაცავია?***

– რასაკვირველია. დასაცავია, როგორც საქართველოს იერსახე. დასაცავია მთაწმინდის არქიტექტურა. სახელმწიფოს არ აქვს საშუალება, ყველაფერი აღადგინოს, ამიტომ მას დახმარება სჭირდება. არსებობს ბუნების დაცვისა და ქალაქში მოძრაობის პრობლემა.

***– მოუგვარებელი პრობლემა არსებობს?***

– მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს, თუკი ადამიანები მუშაობენ. ამიტომ გვჭირდება პარლამენტში პროფესიონალები. მე მოვიყვანე არა ჩემი გუნდი, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ნამდვილი პროფესიონალები არიან.

***– თქვენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის უფლებების გაფართოებაზე საუბრობთ ხოლმე, სხვები კი მხოლოდ პროპორციული სიებით არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ, რაც 2020 წლიდან იგეგმება.***

– ეს არის იმ პატარა პარტიების მოთხოვნა, რომლებიც განწირული არიან გაქრობისთვის. მათ ამით თავის გადარჩენა უნდათ. ეს არის პატარა პარტიების მხრიდან ამომრჩევლის ნების უზურპირება. ამომრჩევლის ნებას ყველაზე კარგად მაჟორიტარი დეპუტატები წარმოადგენენ.

***– პატარა პარტიებს ამომრჩევლის ნების უზურპირება უნდათ?***

– დიახ, რეალურად ასეა. როცა პარტია სიას წარადგენს, იქ ამომრჩევლის გემოვნება ნაკლებად მოქმედებს. ის პარტიული გადაწყვეტილებაა. პარტიების მოთხოვნა არასამართლიანია. თუ პარლამენტარი ვერ გაამართლებს, მაინც შეიძლება შეიყვანონ, რადგან შიგნით ასე



თვლიან საჭიროდ. ეს არის ამომრჩევლის ნების უგულებელყოფა. პარტიებიც უნდა იყოს და მაჟორიტარებიც, ის უშუალო დემოკრატია, რომელსაც ბევრი ქვეყანა დღეს ეძებს, უნდა შენარჩუნდეს.

***– თქვენ „ქართული ოცნებიდან“ კონკურენტი არ გყავთ. ამიტომ, ალბათ, თქვენ პარლამენტში გიხილავთ. პარტიული სიები უკვე ცნობილია. როგორი პარლამენტი შეიძლება იყოს?***

– ვფიქრობ, ძალიან დადებითი და წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ „ოცნებამ“ მაჟორიტარები არ შეიყვანა გამსვლელ სიაში. ეს ის მიმართულებაა, რასაც მე მივესალმები. ე.ი. მაჟორიტარები იღებენ მეტ პასუხისმგებლობას, თვითონ აგებენ პასუხს თავიანთ თავზე ამომრჩევლის წინაშე. მმართველი გუნდის ეს გადაწყვეტილება პროგრესისკენ გადადგმული ნაბიჯია.

***– თქვენ გამოცდილი პოლიტიკოსი და დიპლომატი ბრძანდებით. ზოგადად, „ოცნების“ სიას როგორ აფასებთ?***

– სიის იმ ნაწილს, რომელშიც ახალი ადამიანები შევიდნენ, ზოგს პირადადაც ვიცნობ. ამიტომ მათთან თანამშრომლობა და ურთიერთობა ძალიან ადვილი იქნება.

***– ე.ი. პარლამენტში „ოცნებასთან“ ითანამშრომლებთ?***

– თემატურად თანამშრომლობა უფრო ადვილია, ვიდრე იდეოლოგიურად. იდეოლოგია გვაშორებს ერთმანეთისგან, საქმე კი გვაერთიანებს.

***– ვისთან არ ითანამშრომლებთ?***

– მხოლოდ ერთ მავნებელ პარტიასთან, ნაცმოძრაობასთან არ ვითანამშრომლებ, დანარჩენ პარტიებთან, მგონი, თანამშრომლობა შეიძლება.

***– თქვენთვის პოლიტიკაში ყოფნა რა არის?***

– გაცნობიერებული ვალდებულება, რომელიც არ წარმოადგენს რაღაცის მიღწევას. ძალიან ბევრი სხვა რამ შემიძლია წარმოვიდგინო, რომელიც უფრო სასიამოვნო და საინტერესო იქნება, მაგრამ მე ვგრძნობ ვალდებულებას ამ ქვეყნის წინაშე.

***– ამიტომ ბრუნდებით პოლიტიკაში?***

– ვბრუნდები, რომ ჩავერთო პოლიტიკაში იმ დროს, როცა ამ ქვეყანას სჭირდება. ეს არის იმ ადამიანების ვალდებულება, რომლებსაც საქმის კეთება შეუძლიათ. ზოგი ამბობს, რომ პოლიტიკაში არ უნდა, ურჩევნია თავისი საქმე აკეთოს. ეს ძალიან კარგია, მისასალმებელი, მაგრამ ქვეყანას სჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებსაც საქმის კეთება შეუძლიათ.

***– მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი თავის რეალიზაცია პირდაპირ პოლიტიკაში და პარლამენტში უნდათ.***

– მხოლოდ პოლიტიკაში უნდათ რეალიზება. სხვა სფეროში რეალიზაციის იმედიც არ აქვთ. ეს ძალიან სტერილურ გარემოს ქმნის.

***– ეს მოქმედებს პარლამენტის მუშაობის ხარისხზე?***

– რა თქმა უნდა, იწვევს პარლამენტის მუშაობის სტერილიზაციასაც. ახალი აზრები მოდის გარედან, მოდის ცოდნიდან და გამოცდილებიდან. თუ შენს პროფესიაში გამოცდილება არ გაქვს მიღებული, არ იცი, რა უნდა გაკეთდეს მომავალში, არ გაქვს იმ დარგის ცოდნა, რომელშიც მუშაობ, მაშინ იმ კანონებსა და გადაწყვეტილებებსაც ვერ მიიღებ, რაც საჭიროა.

***– ემიგრაცია და თქვენი ახლობლები საფრანგეთში როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას, იბრძოლოთ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრობისთვის?***

– ჩემი ახლობლები მიჩვეული არიან. როცა პრემიერმა განაცხადა, რომ „ოცნება“ არ დააყენებდა კანდიდატურას, როგორც კონკურენტს, არა ჩემ წინააღმდეგ, ან იმის გამო, რომ ძლიერი კონკურენტი ეყოლებოდა, არამედ ეს იყო ემიგრაციის ადგილის დასამკვიდრებლად გადადგმული ნაბიჯი. აღნიშნული ძალიან კარგად მიიღეს ემიგრაციაში. ამით ძალიან ბედნიერი ვარ და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ „ოცნებისა“ და ემიგრაციის წინაშე.

# ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მისივე თქმით, 7 თვეში მიღწეული შეთანხმების შედეგად, 2017 წლიდან, ჩინეთში საქართველოდან ნულოვანი ტარიფებით შესაძლებელია ღვინისა და სხვა აგრარულ პროდუქციის შეტანა.

ასოციაცია, „ქართული ღვინოს“ მარკეტინგის მენეჯერი, გიორგი აფხაზავა აცხადებს, რომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მნიშვნელოვანი წარმატებაა ქვეყნის ეკონომიკისთვის.

მისი თქმით, ასოციაცია „ქართული ღვინო“ კერძო ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით, 30 კომპანიას აერთიანებს.

– მსგავსი რაღაც არცერთ ქვეყანასთან არ ჰქონია ჩინეთს, მხოლოდ საქართველოსთან არის გამონაკლისის სახით. წარმოიდგინეთ, 1.4 მილიარდი მომხმარებელია, უზარმაზარი ბაზარი და ქართულ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, ყველანაირი ბარიერის გარეშე შეიტანონ ქართული ღვინო. ეს დიდი მიღწევაა გაყიდვების, ეკონომიკური სარგებლისა და ბაზრის დიფერენციაციის მხრივ და ზოგადად, არა მარტო კომპანიებისთვის. „ტოპ სამეულში“ შედის ჩინეთი ექსპორტირებად ბაზრებს შორის. როდესაც გაყიდვები იზრდება ექსპორტირებად ქვეყნებზე, ავტომატურად ახდენს გავლენას ტურიზმზეც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მეტი ჩინელი ჩამოვა საქართველოში ტურიზმის და კონკრეტულად, ღვინის ტურიზმის მიმართულებით, ორი კურდღლის დაჭერა გამოდის ერთდროულად, – აღნიშნა აფხაზავამ.

თბილღვინოს დირექტორი ზურაბ მარგველაშვილი ეკონომიკის განვითარების კუთხით, საქართველოს მთავრობის მუშაობას დადებითად აფასებს.

მარგველაშვილის თქმით, საბაჟო გადასახადის განულება მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება ღვინის ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით, რაც ქართული მეღვინეობისა და ზოგადად ეკონომიკისთვის, დადებითი მოვლენაა.




– ეკონომიკის განვითარების კუთხით, მთავრობის მუშაობა არის დადებითი. ყოველგვარი გარდამავალი პერიოდის გარეშე, უახლოეს თვეებში მოხდება ხელმოწერა და მომავალი წლის შუა პერიოდიდან, ქართულ ღვინოზე გავრცელდება ჩინეთში ნულოვანი საბაჟო განაკვეთი, ანუ ჩინეთში, ქართული ღვინის იმპორტი იქნება ნულოვანი საბაჟო განაკვეთით. დღეის მდგომარეობით, ქართული ღვინის მზარდი ექსპორტია ჩინეთში, შესაბამისად, საბაჟო გადასახადის განულება მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება ღვინის ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით, რაც ქართული მეღვინეობისთვის და ზოგადად ეკონომიკისთვის, დადებითი მოვლენაა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ექსპერტი ლევან კალანდაძე ჩინეთთან საქართველოს მიერ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მიღწევას ისტორიულ მოვლენას უწოდებს.

– ეს მართლაც ისტორიული ფაქტია არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, პოლიტიკურითაც. პრაქტიკულად, ორი წელი დასჭირდა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიღწევას.

ჩინეთი არ ანებივრებს სხვა სახელმწიფოებს ასეთი რეჟიმებით და საქართველოსთვის, პრაქტიკულად, ექსკლუზივია, რადგან უპირატეს მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული – მსოფლიოში ჩინეთს მხოლოდ 20 ქვეყანასთან აქვს ასეთი რეჟიმი.

ეს არის ძალიან დიდი შესაძლებლობა და კარგი პერსპექტივა. დაახლოებით მილიარდნახევრიანი ბაზარია, რომელიც ძალიან საინტერესო შეიძლება გახდეს საქართველოსთვის არა მხოლოდ წმინდა სავაჭრო ურთიერთობისთვის. ის, რომ ქართული ღვინისთვის, ფაქტობრივად, ექსკლუზიურად მთლიანად გახსნილია ბაზარი, ეს ძალიან კარგია, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარების ძალიან საინტერესო ნიშები შეიძლება გაჩნდეს, – განაცხადა კალანდაძემ.

მისი თქმით, ჩინეთი, ამასთანავე, დაინტერესებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის საკითხებით და იმ ქვეყნებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა აქვთ და, ამავდროულად, არის პრაქტიკულად ავტორი ე.წ. აბრეშუმის გზის კონცეფციისა.

– ამ კონცეფციაში საქართველოს სრულფასოვანი ადგილის დამკვიდრება მნიშვნელოვნად იქნება წახალისებული და ხელშეწყობილი ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სრულად ამოქმედების შემდეგ. აქედან მივიღებთ იმ ბენეფიტს, რომ გავზრდით ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობას და ასევე შეიძლება, გახდეს ძალიან მნიშვნელოვანი ფინანსური და სასაქონლო ჰაბი ჩინეთ-ევროპის ურთიერთობების კონტექსტში – ჩინური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით საქართველოში და ევროპის ბაზარზე ორიენტირებული წარმოების განსავითარებლად.

თავისი რანგითა და მნიშვნელობით ჩინეთთან მიღწეული შეთანხმება პრაქტიკულად არის იდენტური ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისა და აქედან გამომდინარე, ის წრედი, რაც მოაზრებული იყო საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო-ფინანსური ჰაბის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ჩინეთთან ხელშეკ-




რულების ამოქმედების შემდეგ, სრულად იქნება რეალიზებული. ბუნებრივია, ეს პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოში ახალი ინვესტიციების განხორციელებასთან, რაც გამოიწვევს გარკვეული სამუშაო ადგილების შექმნას და, რაც ყველაზე მთავარია, ეს შექმნის გარკვეულ კეთილდღეობას ქართველი მეწარმეებისა და საზოგადოებისთვის, – აღნიშნა ექსპერტმა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# საფრანგეთი: ისლამისტმა დედა დაახრჩო



ჰავრში ისლამისტმა დაახრჩო საკუთარი დედა, რომელიც მას სირიაში საომრად წასასვლელად არ უშვებდა. ამის შემდეგ მკვლელმა პოლიციაში დარეკა და ჩადენილი დანაშაულის შესახებ განაცხადა. მალე ის დააპატიმრეს. მკვლელს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

დამნაშავე ფრანგია. ის ისლამური სახელმწიფოს მომხრე იყო. მანამდე, ორი წლის განმავლობაში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა.

# გერმანიის საგარეო სამინისტრო: „რუსები ცრუობენ“



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ გერმანიის კანცლერმა მერკელმა პუტინს გაეროს ახალი მდივნის კანდიდატურის მხარდაჭერა შესთავაზა. საუბარია ბულგარელ ირინა ბოკოვაზე, რომელსაც, ზახაროვას მტკიცებით, დასავლეთი ლობირებას უწევს.

გერმანიის საგარეო სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია უარყო. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მერკელს პუტინთან ამ თემაზე საუბარი არ ჰქონია. მეტიც, გერმანია გაეროს მდივნის პოსტზე არავის ლობირებას არ უწევს.

– რუსები ცრუობენ! – განაცხადა გერმანიის საგარეო სამინისტროს წარმომადგენელმა შეფერმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# უილიამსა და კეიტს შარლოტა და ჯორჯი კანადაში მიჰყავთ



კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია თავიანთ შვილებთან პრინცესა შარლოტასა და პრინც ჯორჯთან ერთად გაემგზავრებიან კანადაში. ეს ინფორმაცია პრინც უილიამისა და მისი მეუღლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს.

სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა ერთკვირიანი ვიზიტი კანადაში 24 სექტემბერს დაიწყება. ეს მათი პირველი ოჯახური, ოთხკაციანი ოფიციალური საზღვარგარეთული ტური იქნება.

აღსანიშნავია, რომ უილიამმა და კეიტმა უამრავი მილოცვა მიიღეს თავიანთი შვილების დაბადების აღსანიშნავად კანადის მოქალაქეებისგან და ისინი მოუთმენლად ელიან გამგზავრების დღეს, რათა შვილებს ახლოს გააცნონ ეს ქვეყანა.

ჯორჯისთვის ეს მეორე ოფიციალური გამგზავრება იქნება საზღვარგარეთ, ხოლო შარლოტასთვის პირველი.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# საპროტესტო აქცია მინსკში



ბელარუსში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა. დასავლელი ექსპერტები გაოცებით აღიარებენ, რომ პარლამენტში ორი ოპოზიციონერი მოხვდა.

ოპოზიციონერები ამან არ დააკმაყოფილა. მათ მინსკში საპროტესტო აქცია გამართეს.

– არჩევნები გაყალბებულია! მოვითხოვთ ვადამდელ არჩევნებს, – სკანდირებდნენ ისინი.

# უკრაინამ შესაძლოა ევროპის საპარლამენტო ასამბლეა დატოვოს



უკრაინის საგარეო მინისტრმა კლიმკინმა განაცხადა, რომ არსებობს საშიშროება იმისა, რომ რუსეთს ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში უფლებამოსილება აღუდგინონ. კლიმკინის აზრით, ეს შესაძლოა დუმის არჩევნების შემდეგ მოხდეს.

უკრაინის საგარეო მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი აგრესორია, მან მიიტაცა ყირიმი, გააჩაღა ომი დონბასში. შესაბამისად, ევროპულ სტრუქტურებშიც არაფერი ესაქმება.

– თუკი რუსეთი აღადგინეს, პროტესტის ნიშნად ევროპის საპარლამენტო ასამბლეას დავტოვებთ, – თქვა კლიმკინმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ალექსანდრე ჯაფარიძემ ახალ იახტაზე 80 მილიონი ევრო დახარჯა



ნავთობსერვისის კომპანია ევროაზია დრილინგ კომპანის თანამფლობელმა ალექსანდრე ჯაფარიძემ თავს უფლება მისცა, ახალ იახტაზე 80 მილიონი ევრო დაეხარჯა. ამ ინფორმაციას ექსპერტებზე დაყრდნობით ფორბსი ავრცელებს.

საუბარია ხომალდ ჩომეს თჰე შუნ-ზე, რომელიც ჰოლანდიურმა გემთსაშენმა ემელსმა 2016 წლის ივნისში გამოუშვა. მისი სიგრძე 83 მეტრს შეადგენს, წყალწყვა – 2,8 ათას ტონას. იახტას ორი ძრავა აქვს.

ამჟამად ხომალდი საზღვაო გამოცდას გადის, ხოლო მფლობელი იახტას წლის ბოლოსთვის ჩაიბარებს.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ჯაფარიძე თავის უკვე მეოთხე იახტას თავისი საყვარელი ჯგუფის ბითლზის ან ჯონ ლენონის ერთ-ერთი სიმღერის სახელს არქმევს.

# პიტერ ლინდბერგის პირველი მოძრავი გამოფენა გაიხსნა



ჰოლანდიაში გერმანელი ფოტოგრაფის პიტერ ლინდბერგის პირველი საერთაშორისო მოძრავი გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციის „მოდური ფოტოგრაფიის სხვაგვარი ხედვა“ ხილვა როტერდამში კიუნსტჰილის მუზეუმში იქნება შესაძლებელი.

რეტროსპექტივა 220-ზე მეტ ფოტოსურათს მოიცავს, მათ შორის აქამდე უცნობ ფოტოებსაც. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი მასალები ლინდბერგის პირადი არქივიდან.

ლინდბერგი სურათებს უღებდა არა მხოლოდ მოდელებს, რომელთა შორისაც იყვნენ კეიტ მოსი და ნაომი ქემპბელი, არამედ ისეთ ცნობილ ადამიანებსაც, როგორებიც არიან თინა თერნერი, მადონა და ანჯელინა ჯოლი. გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ მილა იოვოვიჩი, ლარა სთოუნი, ნადია აუერმანი და სხვა ვარსკვლავები.

– თქვენ მომეცით იმის შანსი, რომ სულ სხვა ადამიანი გავმხდარიყავი, – განაცხადა მილა იოვოვიჩმა. მისი თქმით, ლინდბერგთან მუშაობის წყალობით პირველად შეიგრძნო რას ნიშნავს მსახიობობა. ასევე მან დაამატა, რომ ლინდბერგი ქალებს საშუალებას აძლევს, უფრო მშვენიერები იყვნენ, მათ თვითგამოხატვის საშუალებას აძლევს.

როტერდამში გამოფენა 2017 წლის 12 თებერვლამდე იქნება გახსნილი, ხოლო იმავე წლის აპრილში ის უკვე მიუნხენში გაიხსნება.

# „სუპერუსაფრთხო“ სახლები ყველაზე მდიდრებისთვის

გაზეთმა ფაინეინშელ ტაიმსმა მკითხველს მოუთხრო ყველაზე მდიდრებისთვის განკუთვნილ „სუპერუსაფრთხო“ სახლებზე. როგორც გამოცემა წერს, უზრუნველყოფილი ადამიანები სულ უფრო მეტ ღონისძიებებს მიმართავენ საკუთარი აპარტამენტების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მაგალითად, ისინი ბინებში აყენებენ დარტყმა გამძლე ფანჯრებს, ასევე კამერებს, რომლებსაც სახის ამოცნობა შეუძლიათ და საკეტებს, რომლებიც მხოლოდ თითის ანაბეჭდებით იღება. გარდა ამისა, მდიდარი კლიენტები სპეციალურ პროგრამირებად გასაღებებს უკვეთავენ პერსონალისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა შეიზღუდოს ხელმისაწვდომობა და მოხერხდეს მისი გადაადგილებისთვის თვალყურის დევნება.

მოთხოვნილებით სარგებლობს უსაფრთხოების ოთახები, ყველაზე ხშირად ასეთ ოთახს წარმოადგენს საძინებელი. იქ დგება ფოლადის კარი და ხდება კედლების გამაგრება. უძრავი ქონების პოტენციურ მყიდველებს ასევე აინტერესებთ, მეზობლების ვინაობა და შვეულმფრენით ექსტრემალური ევაკუაციის შესაძლებლობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმიპროფესიონალივმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# იბრაჰიმოვიჩი პოგბას აქებს, მოურინიო — რეშფორდს



„ოლდ ტრაფორდზე“ რეკორდული თანხის სანაცვლოდ გადასვლის შემდეგ პოგბას ჯერ კიდევ არ გამოუჩენია თავი. ფრანგმა ნახევარმცველმა ვერც გატანილი გოლით დაამახსოვრა თავი ადგილობრივებს და არც მისი თამაში იწვევს აღტაცებას. ფრანგი ფეხბურთელის კრიტიკოსები უკვე მომრავლდნენ.

მანჩესტერ იუნაიტედის თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თანაგუნდელი დაიცვა და კრიტიკოსებს ეჭვიანებს უწოდებს:

— პოგბა იმ თაობის წევრია, რომელიც საფრანგეთში მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება. ეროვნულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატი ვერ მოიგო, სამწუხაროდ, მაგრამ ძლიერი თაობა ჰყავთ და ისინი უკეთესები გახდებიან, პოლი კი ერთ-ერთი მათგანია და ისიც უკეთესი გახდება იქიდან გამომდინარე, თუ რა გააკეთა. აქამდე პოლს პირადად არ ვიცნობდი, ეს ბიჭი შრომისმოყვარეა და პროგრესირება სურს, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ეს ეჭვიანი ხალხი მის შესახებ ნათქვამ სიტყვებს უკან წაიღებს, რადგან ის მხოლოდ უკეთესი გახდება.

სამაგიეროდ, გულშემატკივრებს ახალგაზრდა მარკუს რეშფორდი მოსწონთ, რომლისაც თავად მანჩესტერ იუნაიტედის მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს სჯერა. მისი თქმით, რეშფორდს სრულიად ნათელი მომავალი აქვს და მომდევნო შეხვედრაში მისი სასტარტო შემადგენლობაში გამწესებაზე მიანიშნა.

რეშფორდი მანჩესტერულ დერბიში შესვენების შემდეგ ჩაერთო და მოურინიოს აზრით, უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ჯესი ლინგარდმა და ჰენრიხ მხითარიანმა ერთად.

პორტუგალიელი მზად არის, 18 წლის ახალგაზრდას მომდევნო მატჩში მორიგი შანსი მისცეს, მაგრამ ამჯერად უკვე სასტარტო შემადგენლობაში.

**ჟოზე მოურინიო:**

— ჩემთვის მომდევნო დიდი მატჩი ფეიენოორდის წინააღმდეგ იქნება. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. რეშფორდს სრულიად ვენდობი. ვიცი, რომ მას ნათელი მომავალი ექნება. ძირითადად ნომერი ცხრიანია — თუ მისი სხვადასხვა პოზიციაზე გამოყენება მოგინდება, უნდა ვიმუშაოთ, უნდა გავაუმჯობესოთ, მაგრამ მისი ხასიათი უკვე შესამჩნევია. ჩვეულებრივ, ხალხი ფეხბურთელის ნიჭს აქცევს ყურადღებას, მაგრამ ამ დონეზე ხასიათიც ძალიან მნიშვნელოვანია და ეს გასულ სეზონში აჩვენა — დაუყოვნებლივ გამოამჟღავნა. სიტის წინააღმდეგ ფლანგებზე მათ უპირატესობას ვგრძნობდი და ბავშვმა მეორე ტაიმში მოგვცა ის, რაც მიკისა და ჯესისთან ერთად პირველ ტაიმში არ გვქონდა. ბავშვმა მოგვცა ის, რაც გვჭირდებოდა და ახლა სულ სხვა შედეგებზე უნდა გვესაუბრა.

შეგახსენებთ რომ, გასულ სეზონში იუნაიტედის რიგებში ჩატარებულ 18 მატჩში რეშფორდმა 8 გოლი გაიტანა.

# დუდა სანაძე კარიერას სლოვენიაში გააგრძელებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთი დუდა სანაძე კარიერას ევროპაში, სლოვენიის უმაღლეს ლიგაში გააგრძელებს.

ქართველი უკანახაზელის ახალი გუნდი დომჟალეს ლასტოვკაა, რომელიც სლოვენიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, ლიუბლიანის ოლიმპიას ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა დააარსა. კლუბის მთავარი მწვრთნელი სლოვენიის ნაკრებში იგორ კოკოშკოვის ასისტენტი, ალექსანდარ სეკულიჩი იქნება.



დუდა „მერცხლების“ ერთ-ერთი პირველი ახალწვეულია. როგორც ირკვევა, 24 წლის ქართველმა მცველმა ლასტოვკასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააგრძელა და დომჟალეში 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების დასრულების შემდეგ გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ დუდამ ბოლო სამი წელი ნცაა-ში გაატარა და სან დიეგოს ღირსებას იცავდა. გასულ სეზონში მისი საშუალო მონაგარი 12.5 ქულა, 4.0 მოხსნა და 1.1 პასი იყო.

სლოვენიის საკალათბურთო ჩემპიონატი სტარტს 8 ოქტომბერს აიღებს, ლასტოვკას პირველი მეტოქე კი კასტინგსი იქნება.

# ქართველმა მოჭადრაკეებმა მედლების შანსი დაკარგეს



აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბოლო ტურია დარჩენილი და უკვე ნათელია, რომ მედლებს ქართველების გარეშე გაინაწილებენ. ეს ცხადი გახდა მე-10 ტურში ქართველი ვაჟთა და ქალთა ნაკრებების მარცხის შემდეგ.

ვაჟთა ნაკრები ცხრა ტურის შედეგებით მე-4 ადგილზე იყო და მე-10 ტურში სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს დაუპირისპირდა. პირველ დაფაზე კვლავ ჩინებულად ითამაშა ბაადურ ჯობავამ, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე მყოფ ფაბიანო კარუანას (2808) დაუზავდა.

მიხეილ მჭედლიშვილმა შავი ფიგურებით ჰიკარუ ნაკამურას აჯობა, ხოლო ბოლო ორ დაფაზე ლევან ფანცულაია და თორნიკე სანიკიძე, შესაბამისად, ვესლი სოსა და სამუელ შანკლენდთან დამარცხდნენ.

ამ გამარჯვებით ამერიკელებმა უკრაინელებთან ერთად სათავეში ადგილი შეინარჩუნეს, საქართველოს ნაკრები მე-11 ადგილზე დაქვეითდა, თანაც ისე, რომ სამეულში მოხვედრის შანსი დაკარგა.

10 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: აშშ, უკრაინა – 18-18 ქულა, რუსეთი – 16, კანადა, ინდოეთი, ნორვეგია, სლოვენია, ინგლისი, პერუ, იტალია – 15-15. რვა გუნდს, მათ შორის საქართველოს, 14-14 ქულა აქვს.

ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: აშშ-კანადა; უკრაინა-სლოვენია; რუსეთი-იტალია; ინდოეთი-ნორვეგია; პერუ-ინგლისი; თურქეთი-საქართველო;

ქალთა ტურნირში ჩვენს მანდილოსნებს მედლებისთვის ბრძოლის შანსის შესანარჩუნებლად რუსებთან მოგება სჭირდებოდათ, მაგრამ 1,5:2,5 დამარცხდნენ და 13 ქულით მე-16 ადგილზე დაქვეითდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონებისგან ასეთ ცუდ გამოსვლას არავინ მოელოდა. პირველ-მეორე დაფებზე ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა, შესაბამისად, ალექსანდრა კოსტენიუკსა და ვალენტინა გუნინასთან წააგეს, ბელა ხოტენაშვილი ალექსანდრა გორიაჩკინას დაუზავდა, ხოლო ნინო ბაციაშვილმა ოლგა გირიას მოუგო.

10 ტურის შემდეგ: ჩინეთი – 18, რუსეთი – 16, პოლონეთი, უკრაინა, ინდოეთი, უნგრეთი, აშშ, ბულგარეთი – 15-15 ქულა.

ბოლო ტური: ჩინეთი-რუსეთი; უნგრეთი-პოლონეთი; უკრაინა-ბულგარეთი; აშშ-ინდოეთი; აზერბაიჯანი (1)-მალაიზია; საქართველო-ავსტრია;

# ალექსანდრე გამცემლიძე: „ბავშვობიდან ბარსელონისა და რონალდინიოს გულშემატკივარი ვარ“

გასული სეზონის ბოლო ტურებში, გორის დილას შემადგენლობაში რამდენჯერმე შეცვლაზე შევიდა ახალგაზრდა ნახევარმცველი ალექსანდრე გამცემლიძე, რომელმაც თავი არცთუ ურიგოდ წარმოაჩინა. მიმდინარე გათამაშებაში გამცემლიძემ თამაში უკვე სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და 2 გოლის გატანაც მოასწრო.

სწორედ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის მიერ ბოლნისის სიონთან გატანილმა გოლმა, დილას საკმაოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა. საბურთალოსთან კი მისმა გოლმა გორელებს ვერ უშველა.

***— სად დაიწყე ვარჯიში და რომელ ასაკობრივ გუნდებში გამოდიოდი.***

— კარიერა საფეხბურთო კლუბ ავაზაში დავიწყე. 5 წლის მივედი სკოლაში და სწორედ ამ კლუბის წარმომადგენლები იყვნენ სასწავლებელში მოსულები, სადაც მათ დედაჩემი შემთხვევით შეხვდა. ასე მივედი სინჯებზე და შემდეგ ამიყვანეს. ავაზაში 2 წელი ვიყავი, შემდეგ კი თბილისის ლოკომოტივში ესპანელების ყოფნის პერიოდშიც წარმატებით გავიარე შერჩევა, სადაც 7 წელი გავატარე. შემდეგ წელიწადნახევარი ისევ ავაზაში დავყავი, საიდანაც თბილისის საბურთალოში გადავედი და ჭაბუკთა ლიგაზე ვასპარეზობდი. ბოლოს უკვე გორის დილას დუბლებში მივედი სინჯებზე და უკვე ზამთრის შემდგომ, პირველ გუნდში გადმომიყვანეს და მას მერე აქ ვარ.

***— მიმდინარე გათამაშებაში უჩა სოსიაშვილმა ნდობა გამოგიცხადა და ყველა მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყე.***



— ჩემთვის ძალიან სასიხარულოა უმაღლეს ლიგაში თამაში. ნამდვილად არ ველოდი იმას, რომ მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში ვითამაშებდი. ძალიან მიხარია, რომ მთავარი მწვრთნელი მენდობა. ვეცდები, მისი მოლოდინები მომავალშიც გავამართლო და თავი არ დავზოგო თამაშსა და ვარჯიშებზე.

***— გორში ბოლნისის სიონთან მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანე. რა გრძნობა დაგეუფლა გატანილი გოლის შემდგომ, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში შენთვის პირველი გამოდგა.***

— ემოციები ვერ დავმალე რაც ვიდეო მიმოხილვაშიც კარგად ჩანს. ჩემი პირველი გოლი იყო, რომელიც გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა. დარტყმის მომენტამდე რამდენიმე წუთი იმაზე ვფიქრობდი, რომ ამის შანსი მომცემოდა და როდესაც ეს მომენტი დადგა, ბევრი აღარ მიფიქრია, ერთი შეხებით დავარტყი და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სწორად მოვიქეცი.

***— დილაში როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილი ფეხბურთელები არიან. რას იტყვი მათ შესახებ.***

— გამოცდილი ფეხბურთელები სტადიონზე თამაშს მიიოლებენ და ყოველთვის, როცა არასწორად ვაკეთებ რამეს, შეცდომებზე მიმითითებენ, რაზეც ბევრს ვსწავლობ და ნელ-ნელა ვვითარდები. არიან ახალგაზრდებიც, ნაკლები გამოცდილებით, მაგრამ დიდი მონდომებით და ენერგიით, რომლებიც თუ შრომას არ დაიზარებენ და ნიჭს ბოლომდე გამოიყენებენ, მაღალ სიმაღლეებს მიაღწევენ.

***— ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად კონკურენციაა, თუ ხარ მზად მის დასაძლევად.***

— ფეხბურთში კონკურენცია უცხო არ არის. კონკურენციის გარეშე ფეხბურთელი ვერ განვითარდება, ამიტომ ეს თანამედროვე ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. უფრო მოტივირებული ხარ და ცდილობ კიდევ მეტი და მეტი იმუშაო შენს თავზე.

***— რომელ უცხოურ გუნდს გულშემატკივრობ და სად ისურვებდი კარიერის გაგრძელებას.***

— პატარაობიდან ვგულშემატკივრობ ბარსელონას და რონალდინიოს პერიოდიდან ვარ შეყვარებული ამ გუნდზე. სურვილი თუ სურვილია, კარიერას სწორედ ასეთ გუნდში გავაგრძელებდი, თუმცა მანამდე რამხელა გზაა გასავლელი, კარგად მოგეხსენებათ.

***— შენი აზრით, რისი მიღწევა შეუძლია გორის დილას მიმდინარე გათამაშებაში?***

— გამოცდილებით და სიძლიერით გორის დილა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული კლუბია. შეგვიძლია ჩემპიონატის და თასის მოგება, ყველაზე ცუდ ვარიანტში კი ევროასპარეზზე აუცილებლად უნდა გავიდეთ.

***— შენ უკვე დაიმსახურე გორელი გულშემატკივრის სიმპათია, რას ეტყვი მათ?***

— მადლობას ვუხდი მათ იმ მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის, რასაც მოედანზე ვგრძნობთ. მინდა, რაც შეიძლება მეტი გამარჯვებებით მათ სიხარული მივანიჭო და ყოველთვის ამაყობდნენ იმ გუნდით, რასაც გორის დილა ჰქვია.

# შედეგები

**12 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ევერტონი .............. 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 3.ევერტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 4.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| 6.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 7.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 8.ჰალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 9.მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10.უოტფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 11.კრ.პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 13.სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.ბარნლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 16.ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 17.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 18.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 20.სტოკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-მიუნხენ 1860 ............ 1:2

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-კროტონე ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2.რომა | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 3.ნაპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4.ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 5.სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 6.უდინეზე | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 7.ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-6 | 6 |
| 8.პესკარა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 9.კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 10.ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 11.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.ტორინო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| 13.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 14.ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| 15.მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 16.ემპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 17.სასუოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 18.კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 19.პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 20.კროტონე | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ვირტუსი-პიზა ................................ 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბურგი-ტრუა ........................ 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირენსე-ტონდელა .................. 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

რუბინი-ურალი .............................. 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-ირაკლისი ........................ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

შლიონსკი-რუხი ............................ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ნორდსიელნდი ................ 3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ჰაკენი ................................ 2:2

მალმიო-გიოტებორგი .................... 3:1

ჰამარბი-იორებრო ......................... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-კუუპიო ................................ 1:1

ინტერი-ჰიფკი ................................ 0:0

მარიეჰამნი-კემი ............................ 1:0

პკ-35-ილვესი ................................ 1:3

როვანიემი-სეინეიოკი .................... 1:1

ჰიკი-ლახტი .................................... 1:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ნიუ იორკში პოდიუმზე ვუპი გოლდბერგი გამოჩნდა



ნიუ იორკის მოდის კვირეულის პოდიუმზე „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი ვუპი გოლდბერგი გამოვიდა. დეფილეს კომპანია ოუფენინგ ცერემონი მართავდა და აღნიშნული ღონისძიება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს ეძღვნებოდა.

აღსანიშნავია, რომ 60 წლის გოლდბერგმა პოდიუმზე დამაჯერებლად და პირზე ღიმილით გაიარა. როდესაც მსახიობს ჰკითხეს, თუ რატომ გადაწყვიტა ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, მან უპასუხა: „მხოლოდ ამერიკაშია შესაძლებელი ისეთი გოგონა, როგორიც მე ვარ, აღმოჩნდეს ისეთ სცენაზე, როგორიც ესაა“.

გარდა ამისა, ვუპი გოლდბერგმა მაყურებლებს 8 ნოემბერს არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდა.

ორგანიზატორების კეროლ ლიმისა და უმბერტო ლეონის თქმით, მათი ღონისძიება ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა იმიგრაცია, ეკონომიური უთანასწორობა, პოლიციური სისასტიკე და დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით.

# ქეთევან ციხელაშვილი ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე დანიილ ხოშაბოს შეხვდა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.

ქეთევან ციხელაშვილმა ყურადღება გაამახვილა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, კერძოდ, საოკუპაციო რეჟიმის მიერ თავისუფალი გადაადგილების, საკუთრების უფლებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვებზე, უკანონო დაკავებებსა და სხვა ჰუმანიტარული გამოწვევებზე, ასევე საუბარი შეეხო ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრებს.

სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა არის პრაგმატული, კონსტრუქციული და კონფლიქტების მოგვარების საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ მშვიდობიან გზებს განიხილავს.

— ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარი ღირებულებაა ადამიანი, ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები. ასევე, კონფლიქტის მოგვარების პროცესშიც ჰუმანიტარული გამოსავლების მოძიება ჩვენთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# კანიე უესტმა საკუთარი კოლექცია წარმოადგინა



ამერიკელმა რეპერმა კანიე უესტმა ნიუ-იორკში გამართულ მოდის კვირეულზე საკუთარი ახალი კოლექცია წარმოადგინა. ჩვენებას მუსიკოსის ცნობილი მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ, მათ შორის რეჟისორი სპაიკ ჯონზი და კარდაშიან-ჯენერების ოჯახის წარმომადგენლები.

დეფილე გამოცხადებულ დროზე თითქმის ორი საათის დაგვიანებით დაიწყო. ზოგიერთი თვითმხილველის თქმით, რამდენიმე მოდელმა სიცხის გამო გონება დაკარგა. გარდა ამისა, ჩვენების ერთ-ერთმა მონაწილემ პოდიუმზე თავი ვერ შეიმაგრა.

გარკვეული დროის წინ უესტი იმის გამო გააკრიტიკეს, რომ კასტინგზე მხოლოდ „მულტირასისტული“ ქალები მიიწვია, თუმცა დეფილეს მიხედვით, მასში ყველა რასის მოდელი იღებდა მონაწილეობას.



# ფერაგამოს ახალი კრეატიული დირექტორი ჰყავს



დიზაინერი პოლ ენდრიუ იტალიური კომპანია სალვატორე ფერაგამოს კრეატიული დირექტორი გახდა. ის ბრენდისთვის მნიშვნელოვან კატეგორიას — ქალების ფეხსაცმელს მიაქცევს ყურადღებას.

ენდრიუსთვის კომპანიაში პირველი კოლექცია იქნება 2017-18 წლების სეზონთაშორისი კოლექცია. გარდა ამისა, დიზაინერი საკუთარ ბრენდ პოლ ენდრიუზეც გააგრძელებს მუშაობას, რომელიც 2013 წლიდან გამოდის.

# დაპატიჟება ბრიტანულად

ბრიტანეთის ქალაქ შეფილდის მცხოვრებმა ლიამმა, რომელმაც უცნობ გოგონას ღამის კლუბში კოქტეილი უყიდა, ორი კვირის შემდეგ მას სასმელში გადახდილი ფულის დაბრუნება მოსთხოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალგაზრდა ყმაწვილი სასმელით 18 წლის ები ფენტონს გაუმასპინძლდა, რის შემდეგაც მათ ტელეფონის ნომრები გაცვალეს. ორი კვირის შემდეგ კი გოგონას მიუვიდა შეტყობინება, რომელშიც ყმაწვილი მისთვის სასმელზე დახარჯული 6,5 ფუნტის დაბრუნებას სთხოვდა და საკუთარი ბარათის მონაცემების გაგზავნას სთავაზობდა.

— მე მას თანხა დავუბრუნე, მართალია, მისი ეს საქციელი უნამუსობად ჩავთვალე, მაგრამ შესაძლოა მას ეს ფული სჭირდებოდა, — განაცხადა ფენტონმა. გოგონამ ასევე აღნიშნა, რომ კლუბში გაცნობის დროს ლიამი ფინანსურად უზრუნველყოფილი ადამიანივით არ გამოიყურებოდა.

# თამარა მელონმა ჯიმი ჩუს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

ფეხსაცმლის ბრენდის ჯიმი ჩუს დამაარსებელმა თამარა მელონმა თავისი ყოფილი კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

მელონიმ ფეხსაცმლის ბრენდი ჯიმი ჩუსთან ერთად დააარსა 1990-იან წლებში. 2011 წელს მან კომპანია დატოვა, ახლა კი დიზაინერი ამტკიცებს, რომ ჯიმი ჩუში მისი საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყეს, ამასთან ეს იმ მომენტში მოხდა, როდესაც მელონი თავისი ახალი პროექტის ჩასაშვებად ემზადებოდა.



მელონის თქმით, ჯიმი ჩუში შეიტყვეს, რომ დიზაინერი მელონი ბრენდის შექმნას და მემუარების გამოცემას აპირებდა და მეწარმეებს „მუქარა“ შეუთვალეს, რომ ჯიმი ჩუ მათთან თანამშრომლობას შეწყვეტდა, თუ ისინი მელონისთან ან მასთან დაკავშირებულ ხალხთან იმუშავებდნენ. ამის შედეგადმეწარმეებმა დიზაინერის ახალ კომპანიასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს და მელონი ბრენდი იძულებული გახდა თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინა. მელონის მტკიცებით, მან მილიონობით დოლარი დაკარგა.

დიზაინერმა სარჩელი ამერიკის ნიუ-იორკის შტატის სასამართლოში შეიტანა. ამ საკითხზე ჯიმი ჩუში კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ამერიკელმა მეხანძრეებმა კატა გადაარჩინეს



ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ ეიმსში მეხანძრეებმა ალმოდებული სახლიდან კატა გამოიყვანეს. მაშველებმა ცხოველს სახელად კლეოს სასწრაფო დახმარება პატარა ჟანგბადის ნიღბის დახმარებით აღმოუჩინეს.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში სახანძრო დეპარტამენტის გვერდზეა გამოქვეყნებული. გამოქვეყნებიდან ექვსი დღის მანძილზე ის დაახლოებით 400 ათასმა ადამიანმა ნახა.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ვიდეოჩანაწერის კომენტარში აღნიშნულია, რომ მეხანძრეები კატის გადასარჩენად 30 წუთზე მეტი ხნის მანძილზე იბრძოდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ცხოველის მდგომარეობა ნორმალური გახდა, ის ერთ-ერთ ადგილობრივ ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანეს, შემდგომი გამოკვლევის ჩასატარებლად.

# ასტროპროგნოზი
## 14 სექტემბრისთვის



**ვერძი** — ეს დღე სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს გპირდებათ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **კურო** — დაისვენეთ და გაერთეთ. შეგიძლიათ, ფიზიკურად მსუბუქად წაიმუშაოთ. **ტყუპები** — ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ. გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ვალიც დაგიბრუნონ. **კირჩხიბი** — ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. **ლომი** — თუ პრობლემის მოგვარებას არასტანდარტული გზით შეეცდებით, სასურველ შედეგს მიიღებთ. პარტნიორები მხარს გიჭერენ. **ქალწული** — დღის პირველ ნახევარში სამსახურში დაბრკოლებები შეგხვდებათ. მატერიალური მდგომარეობა ოდნავ უარესდება. **სასწორი** — კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. როგორც სამსახურებრივ, ისე საოჯახო პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** — წინააღმდეგობრივი დღეა, რომელიც აღინიშნება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით. ემოციები მოთოკეთ. **მშვილდოსანი** — ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. არ არის გამორიცხული, ახალი გატაცება გამოგიჩნდეთ. **თხის რქა** — ნუ გარისკავთ. ეს განსაკუთრებით ძვირადღირებული ნივთების შეძენას ეხება. ახლობლები სასარგებლო რჩევას მოგცემენ. **მერწყული** — ფინანსურად ფეხზე მყარად დგახართ. მოსალოდნელია ახალი საინტერესო პერსპექტივები. **თევზები** — კრიტიკული დღეა. ფრთხილად იყავით, არ იჩხუბოთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ლუდის ღვთაება მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 2. მარმარილოს საბადო კახეთში; 3. ფრანგი კომედიოგრაფი „სევილიელი დალაქი“, „ფიგაროს ქორწინება“-ს ავტორი; 4. სამეჯლისო ცეკვა; 5. ძველად, კვირის ესა თუ ის დღე, რომლებიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული; 6. მოძრავი სცენა თეატრში; 7. გერმანული ელექტროტექნიკური კონცერნი; 9. რძეში მოზელილი, კვერცხსწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 13. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 17. ღვინის შესანახი პატარა ქვევრი; 18. მდინარე ციმბირში.

**თარაზულად**: 1. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 3. სპორტული იარაღი აკრობატული ხტომებისთვის; 8. თეატრალური პრემია საქართველოში; 10. ჰოლივუდში მოღვაწე ჩეხური წარმოშობის კინორეჟისორი; 11. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 12. ფეხბურთის ბრაზილიელ გულშემატკივართა სახელწოდება; 14. შავი და თეთრი შრეების მქონე მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. ნახევარკუნძული ევროპაში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი ოსტატი; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. ტროპიკული ხილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფელდიგიერი; 2. რუდაქი; 3. რენუარი; 4. ლხასა; 5. ბისმარკი; 6. ჰერში; 7. ბიშკეკი; 9. ბულონი; 13. ვერნი; 17. გემა; 18. შჩი.

**თარაზულად:** 1. ფლაიერი; 3. რიგელი; 8. ფიშერი; 10. სამსუნი; 11. ციკლი; 12. გალუაზი; 14. კიანტი; 15. შპიგელი; 16. კეგელი; 19. ჯუნგლი; 20. ქირურგი; 21. ლოზანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლაკოსტა; 2. ელეგია; 3. ტახომეტრი; 4. ფორუმი; 5. პიგმენტი; 7. ზიჩი; 11. დუმბაძე; 13. მატრიცა; 15. ქლესა; 16. რამპა; 18. რკონი; 19. მამნე.

**თარაზულად:** 6. აიაზმა; 8, კლოშარი; 9. წერნაგი; 10. სიმინდი; 12. ჰაინე; 14. პილონი; 17. როტერდამი; 20. ფხაკაძე; 21. ესქილე; 22. ნიანგი; 23. ბასტილია.

# ლელა მებურიშვილი გოგოს დედა გახდა



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და „შუა დღის“ წამყვანი ლელა მებურიშვილი გოგოს დედა გახდა. მას და მის მეუღლეს ბაჩო საგანელიძეს პატარა გოგონა ამერიკაში ეყოლათ.

მსახიობი დედა მეორედ გახდა. მას 2 წლის ალექსანდრე ჰყავს, რომელიც ასევე ამერიკაში დაიბადა. ლელამ ორსულობის ბოლო პერიოდში ჩიკაგოში გაატარა, სადაც მისი პატარა გოგონა გაჩნდა. დედაშვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლებმა მას სოფია დაარქვეს.

ლელა მებურიშვილმა თავისი პატარა ქართველ საზოგადოებას უკვე წარუდგინა და „შუა დღისთვის“ სპეციალური ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, სადაც პატარა სოფიასთან ერთად თავის ერთგულ მაყურებელს მიმართა.

ლელა მებურიშვილი და ბაჩო საგანელიძე პატარა სოფიასთან ერთად უკვე უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებს იღებენ. როდის დაბრუნდება წყვილი საქართველოში, ამ ეტაპზე უცნობია.

# მიშელ ობამამ საკუთარ სტილზე ისაუბრა



აშშ-ის პირველმა ლედიმ ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემასთან საკუთარ სტილზე ისაუბრა.

– მეტად ყოველდღიური, არანაირი მაკიაჟი, მაისური და დახეული ჯინსის შორტები ან სპორტული შარვალი, – განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას მეუღლემ. მისი თქმით, ის ყოველთვის იმ მდგომარეობის ზღვარზეა, რომ ან სავარჯიშოდ წავიდეს, ან ვარჯიშიდან დაბრუნდეს.

როგორც პირველმა ლედიმ განაცხადა, მას მოსწონს ის ფერი და ტანსაცმელი, რომლის წყალობითაც ის თავს კარგად გრძნობს., მაგრამ ოფიციალურ ტანსაცმელთან შედარებით ყველაფერი გაცილებით არაფორმალურია.

გარდა ამისა, მიშელ ობამამ ისაუბრა იმაზე, რომ ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს ტრენდებს.

– ის რამაც შეიძლება იმუშაოს 18 წლის სელფის დედოფლისთვის, მიუღებელი აღმოჩნდეს 52 წლის პირველი ლედისთვის, რომელიც მოზარდების დედაა და რომელთათვისაც ის ცდილობს, რომ მათთვის სამაგალითო იყოს, – აღნიშნა პირველმა ლედიმ.

# დევიდ ბოუის გარდაცვალების შემდეგ იმანი პირველად გამოჩნდა



მეუღლის, მუსიკოს დევიდ ბოუის შემდეგ მაღალი წრის ღონისძიებას პირველად დაესწრო სუპერმოდელი იმანი. ის ტომ ფორდის კოლექციის ჩვენებაზე გამოჩნდა, რომელიც ნიუ-იორკში მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

საზოგადოებაში თავისი გამოჩენის შესახებ 61 წლის სუპერმოდელმა ინსტაგრამში ისაუბრა. კერძოდ, მასში გამოქვეყნებული იყო იმანის სელფი, კოლეგა სინდი კროუფორდთან ერთად.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბოუი 2016 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა. როგორც იმანმა განაცხადა, თავის მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად ის ყელსაბამს ატარებს.

# ცხოვრებით ყველაზე კმაყოფილნი ვილნიუსელები არიან

ევროსტატის გამოკვლევის თანახმად, ყველაზე მეტად საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილნი არიან ლიტვის ქალაქ ვილნიუსის მცხოვრებლები.

როგორც ექსპერტებმა გამოარკვიეს, ევროკავშირის ქვეყნების 18 დედაქალაქში, სულ მცირე, ათი მოქალაქიდან ცხრა საკუთარ ქალაქში ცხოვრებით კმაყოფილია. კმაყოფილების ყველაზე მაღალი დონე ვილნიუსში დაფიქსირდა (98 პროცენტი). შემდეგ მოდიან შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი და დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენი (97-97 პროცენტი, ავსტრიის დედაქალაქი ვენა და ლუქსემბურგი (96-96 პროცენტი).

ყველაზე დაბალი დონე აღმოჩნდა საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, სადაც საკუთარი ცხოვრებით მოქალაქეთა 71 პროცენტია კმაყოფილი. 83-83 პროცენტი აქვთ ბუქარესტსა და პარიზს, ხოლო რომს – 80 პროცენტი.

ყველაზე მაღალი ზრდა აქვს ათენს, რომლის მაჩვენებელი 2012 წელს 56 პროცენტს შეადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გია გუგუშვილმა და ქეთი მატაბელმა უსინათლოებისთვის გამოფენა მოაწყვეს



საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ქეთი მატაბელმა და გია გუგუშვილმა ერთობლივი გამოფენა მოაწყვეს.

„ფრაგმენტები ისტორიიდან“ – ასე ეწოდება ექსპოზიციას, სადაც წარმოდგენილია ქეთი მატაბელის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ნამუშევრები, მათ შორის სერია ,,ფოლიანტი“. ასევე, გამოფენილია იმ ნამუშევართა ნაწილი, რომელიც პროექტის ,,მე ვხედავ თითებით“ ფარგლებში წარმოდგენილი იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. გია გუგუშვილის შემოქმედებიდან კი სვანეთის მუზეუმში მისული დამთვალიერებელი იხილავს მის ფერწერულ ნამუშევრებს.

ხელოვანების გამოფენას ესწრებოდნენ უსინათლო დამთვალიერებლებიც, რომლებსაც საკუთარი შემოქმედება ქეთი მატაბელმა და გია გუგუშვილმა პირადად გააცნეს.

სვანეთის მუზეუმში მუზეუმის ლექციათა ციკლის ,,საუბრები მუზეუმში“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა მხატვრებთან და ქეთი მატაბელის მასტერკლასი ,,შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი თანამედროვე ხელოვნებაში“ (სვანეთის მუზეუმის აუდიტორია).

გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის ნამუშევრების გამოფენა სვანეთის მუზეუმში 9 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# ქართველი კინემატოგრაფისტები კინოშოკის ფესტივალზე დაჯილდოვდნენ

ანაპაში საერთაშორისო კინოფესტივალი „კინოშოკი“ 25-ედ გაიმართა. საიუბილეო კინოფესტივალი წარმატებული აღმოჩნდა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის.

ОТКРЫТЫЙ ФЕСТИВАЛЬ КИНО КИНОШОК

ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულთა შორის სამი ქართული ფილმი აღმოჩნდა – „მოირა“, „მამა“ და „ლეთა“:



პრიზი საუკეთესო მუსიკისთვის გადაეცა ნუკრი აბაშიძეს ფილმისთვის „მოირა“;

ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „მამა“, რეჟისორი დავით ფირცხალავა და ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა კიდევ ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ლეთა“, რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჯონ ლენონის ლიმუზინს მყიდველი არ გამოუჩნდა



ლიმუზინს, რომელიც ლეგენდარული ჯგუფის ბითლზის ლიდერ ჯონ ლენონს ეკუთვნოდა და რომელიც გამოყენებული იყო ლენონისა და მისი მეუღლის იოკო ონოს ერთობლივ ფილმში სახელწოდებით „იმიჯი“, 1972 წელს, ლონდონში გამართულ სოტბის აუქციონზე მყიდველი არ გამოუჩნდა. ამ ინფორმაციას აუქციონის სახლის დირექტორ პიტერ ჰეინსზე დაყრდნობით ადგილობრივი პრესა ავრცელებს.

– ვაჭრობაზე მაქსიმალურმა ფსონმა 135 ათასი ფუნტი შეადგინა, მაგრამ ეს გასაყიდად საკმარისი არ აღმოჩნდა. ასე რომ, სამწუხაროდ, მანქანა ვერ გაიყიდა, – განაცხადა ჰეინსმა.

აღსანიშნავია, რომ ლოტის ესტიმეიტი 180 ათასიდან 260 ათას ფუნტ სტერლინგამდე შეადგენდა.

ასევე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მყიდველს ავტომობილთან ერთად სთავაზობდნენ მისი რეგისტრაციის ორიგინალურ საბუთს, რომელსაც ხელს ლეგენდარული მუსიკოსი აწერდა, რომელმაც მანქანა 1971 წლის აგვისტოსი იყიდა.

## სპორტი

# ტორპედოს კახა ჩხეტიანი გაწვრთნის



ეროვნული ჩემპიონატის 5 ტურის შემდეგ ქუთაისის ტორპედო გარდამავალი ჩემპიონატის თეთრ ჯგუფში 2 ქულით ბოლო, მე-7 ადგილზე იმყოფება, რაც ყოვლად მიუღებელი შედეგია კლუბისთვის და მისი გულშემატკივრებისათვის.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გუნდის სამწვრთნელო შტაბში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

ტორპედოში კობა ჟორჟიკაშვილის ნაცვლად კახა ჩხეტიანი იმუშავებს. მისი თანაშემწე ვასილ გიგიაძე იქნება. ასისტენტის თანამდებობას დაიკავებს მიხეილ აშვეთიაც, რომელიც ტორპედო 2-ის მთავარი მწვრთნელი გახლდათ და აქამდეც მუშაობდა მთავარ გუნდში. სამწვრთნელო შტაბში გააგრძელებენ საქმიანობას მეკარეთა დამრიგებელი დავით მამარდაშვილი და ფიზმომზადების მწვრთნელი მილოვან მატიასევიჩი.

გუნდი დატოვეს კობა ჟორჟიკაშვილის თანაშემწეებმა – გიგა კუტივაძემ და არჩილ ჩხაბერიძემ.

ტორპედოს ახალი მთავარი მწვრთნელი კარგად არის ცნობილი ფეხბურთის მოყვარულებისთვის – 38 წლის ჩხეტიანს 15-წლიანი სათამაშო კარიერა ჰქონდა.

1995-2001 წლებში ტორპედოს ღირსებას იცავდა და გუნდთან ერთად ორგზის ქვეყნის ჩემპიონი, ვერცხლის პრიზიორი და ორგზის თასის მფლობელი გახდა. ტორპედოში ეროვნულ ჩემპიონატებში 116 მატჩი ჩაატარა და 7 ბურთი გაიტანა. 2001 წელს ალექსანდრ შტელინის რეკომენდაციით უნგრულ დებრეცენში მოხვდა, სადაც 3 სეზონი დარჩა. ამის შემდეგ ხანმოკლე დროით უკრაინულ სიმფეროპოლის ტავრიაში იყო. 2004-08 წლებში ზესტაფონში გამოდიოდა, სადაც ჩემპიონატის ბრინჯაო და საქართველოს თასი მოიპოვა. ეროვნულ ჩემპიონატებში მთლიანობაში 216 შეხვედრა ჩაატარა და 10 ბურთი გაიტანა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში კახა ჩხეტიანს 1 მატჩი აქვს ჩატარებული.

სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა გადაწყვიტა. გახდა ა ლიცენზიის მფლობელი. მუშაობდა ტორპედოში, ზესტაფონსა და თბილისის დინამოში მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის ასისტენტად, შემდეგ მარტვილის მერანის მთავარი მწვრთნელი იყო.

ბოლო პერიოდში კახა ჩხეტიანი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში გეგუჩაძის თანაშემწე და ასაკობრივი გუნდების მწვრთნელსელექციონერი გახლდათ.

ტორპედომ ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით პირველი ვარჯიში უკვე გამართა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 14 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. იელოუსტოუნის გაშუქება" **08.00** ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** ზღაპარი. "ბატების მწყემსი გოგონა" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10, 11.00** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **12.20** მხ/ფ "**ბაღდადელი ქურდი**" (მ.პოუელი) **14.10** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **14.50** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.35** "ეკიპაჟი" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. რამდენად ბოროტი ხართ" **18.50 კალათბურთი**. ევროპის **2017** წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **საქართველო - სლოვაკეთი 21.00** მხ/ფ "**უაილდ ვესტის მხედრები**" **21.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **22.30** ეპოქის ფრაგმენტი **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი **00.40** მხ/ფ "**სასაცილო ადამიანები**" **03.10** მხ/ფ "**პური" სიყვარული და ფანტაზია**"

**08.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ "**სად ხარ?**" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14. 00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ამფორების გზა" **18.00, 21.00** "არჩევნები **2016**" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.50, 01.10** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი. **00.40** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **8** სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **8** სერ. **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**საშობაო ამბავი**" **02.25** მხ/ფ "**ძილის წინ**" **03.50** მხ/ფ "**ჩემი როლი ცხოვრებაში**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.50, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **1 23.00** ნანუკას შოუ **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00 59** წამი **13.30, 2.25** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** სერ. "**ჰეროკრატია**" სერ. **4 0.30** მხ/ფ "**ჯენიფერის სხეული**"

**06.15** დროის ჩანაწერები "ლევილის დედა-ნამეტია ბერძენიშვილი,ბავშვი და ზღაპარი" **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "ბუბა კუდავა-ვინ იყო დოლისყანის ქტიტორი **07.50** თვენი "ინდიქტიონი-საეკლესიო ახალი წელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 01.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "ზედა აჭარა (მთიანი აჭარა)" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა "წარსულის გამოძახილი-ხევსურეთი,თუშეთი, რაჭა" **12.10** ღია აუდიტორია-"მამა ადამი (ახალაძე)-ბავშვის დაბადების საიდუმლო" **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების შესახებ" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ერთი წვეთი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ტელეზღაპარი "ჭკუა და იღბალი" **15.40** ღვთის სახლი "იშხანი" I ნაწ. **16.00** კონცერტი **17.05** საყმაწვილო ენციკლოპედია **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იერემია **17.45** თვენი "ინდიქტიონი-საეკლესიო ახალი წელი" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **2** სერ. **20.35** თვენი "ინდიქტიონი-საეკლესიო ახალი წელი" **20.40** ძილი ნებისა "მგელი და კრავი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია **21.35** ეპოქის სახელები "არტემ ერქომაიშვილი" II ნაწ. **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა-დავით ღამბაშიძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "ნაძერწი ფიგურები სალომე ავალიშვილი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 0.00** სერ."**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ."**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ."**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ."**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ."**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ."**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ."**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ."**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 სექტემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3141

ევრო — 2.5967

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0687

100 რუსული რუბლი — 3.5462

## ამინდის პროგნოზი 14 სექტემბრისთვის




## 13 სექტემბრიდან

# პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ვიქტორ ჰიუგო




მთელი რომანი ერთ წიგნში!

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## იუმორი



სუპერმარკეტში ქმარს ცოლი დაეკარგა. დადის და ეძებს. ამ დროს მასთან სუპერმარკეტის ახალგაზრდა, სიმპათიური თანამშრომელი მივიდა და ეკითხება:

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემს დახმარებას შეძლებთ.

– კონკრეტულად რას ეძებთ?

– ცოლს.

– ასე სწრაფად არ მოხერხდება, მაგრამ, თუ გინდათ, ყავა დავლიოთ და, დარწმუნებული ვარ, ისიც გამოჩნდება!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– როდესაც ისევ მომიჯდა გვერდით და მოსვენება არ მომცა, პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი დანახვაც კი აღარ მსურდა.

– მერე, იმან რაო?

– ადგა და შუქი ჩააქრო.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– არ გინდა, სიხარული გამიზიარო?

– რით გამოიხატება?

– 200 ლარით.

●●●

სისხლის გადასხმის სადგურში მისული მამაკაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რამდენი სისხლის ჩაბარებაა საჭირო იმისთვის, რომ სამსახურიდან ერთი დღით გამათავისუფლონ?

– სამასი გრამი საკმარისი იქნება.

– და ერთი კვირით რომ გამათავისუფლონ?

– მაგდენ სისხლს ერთ ჯერზე ვერ ჩააბარებთ!

– შევძლებ, ექიმო, შევძლებ! სიდედრის სისხლი არ მენანება.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ რა, ჩემი არ გჯერა?

– ჩვენი ხელისუფლების უფრო მჯერა, ვიდრე შენი!

●●●

ორკვირიანი მივლინებიდან სახლში დაბრუნებული დედა შვილს ეკითხება:

– სახლში რომ არ ვიყავი, მამაშენი მოწყენილი იყო?

– თავიდან არა, მაგრამ შენი ჩამოსვლის დრო რომ ახლოვდებოდა, სულ უფრო მოწყენილი ხდებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 9 სექტემბრიდან




ლევან ბრეგაძე

# ყოფითი რწმენა-წარმოდგენები

ამ წიგნში თავმოყრილია საქართველოში წინათ და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებული ხალხური ყოფითი რწმენა-წარმოდგენების ნიმუშები. მაგალითად: თუ ხანგრძლივად გასლოკინებთ, ვიღაც თქვენს ძვირს ამბობს, ვინც ქალაქში პირველად ჩადის, კენჭი უნდა ჩაყლაპოს, რომ ქალაქმა არ დასცადოს, თუ მეზობელს ორშაბათს ფულს ასესხებ, იმ კვირაში სულ ფულის გაცემა მოგიწევს და სხვ. ეს ნიმუშები შეკრებილია ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებიდან, აგრეთვე შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებითა და ციტატებით.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

## 15 სექტემბრიდან

# საბავშვო ვეფხისტყაოსანი

სკოლამდელებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის

წიგნი გაფორმებულია XVI-XVII საუკუნეებში მცხოვრები უცნობი მხატვრისა და მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებული ფერადი ნახატებით.




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

# ნუკრი რევიშვილი თბილისის დინამოში არ ითამაშებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი ამჟამად უკლუბოდაა, რადგან სარანსკის მორდოვიადან ის თავისი სურვილით წამოვიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მორდოვია რუსეთის მეორე დივიზიონში გავარდა.

რევიშვილი თბილისის დინამოსთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და რევიშვილის დინამოში გადმოსვლა ჯერჯერობით გამოირიცხა.

ნუკრიმ ახლახან მოირჩინა ტრავმა, რომელიც მან ესპანეთ-საქართველოს შეხვედრაში მიიღო და ის ახალი კლუბის ძიებაშია. რევიშვილი ახალგაზრდა არ არის, ამიტომ კლუბის მოძებნა მისთვის არცთუ იოლი იქნება.

# მათე ვაწაძე თბილისის ლოკომოტივის ფეხბურთელია



მათე ვაწაძემ თბილისის ლოკომოტივთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც წელიწადნახევრის განმავლობაში ის ამ გუნდის ფეხბურთელი იქნება.

ვაწაძე დანიური ორჰუსიდან წლევანდელ ზაფხულს წამოვიდა და ლოკომოტივს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

ვაწაძემ კარიერა თბილისის დინამოში დაიწყო. ამ გუნდის მაისურით მან 96 შეხვედრა ჩაატარა და 42 გოლის გატანა შეძლო. ორჰუსში ის 2012 წლის სექტემბერში გადავიდა და თავიდან წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მწვრთნელთან ურთიერთობა გაუფუჭდა, რის გამოც ამ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა.

მათე ვაწაძე 27 წლის არის და მას საქართველოს ნაკრებშიც არაერთი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

# ხამესი რეალს დატოვებს?



მადრიდის რეალის კოლუმბიელმა შემტევმა ნახევარმცველმა ხამეს როდრიგესმა შესაძლოა ზამთარში რეალი დატოვოს და სათამაშოდ ინგლისს მიაშუროს. ამის მიზეზი ის არის, რომ რეალის მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ხამესს ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს და კოლუმბიელი მხოლოდ ცვლილებებზე გამოდის.

ესპანეთის ჩემპიონატის პირველ სამ ტურში მან მოედანზე მხოლოდ 34 წუთი გაატარა. ხამესით აქტიურად არის დაინტერესებული მანჩესტერ იუნაიტედი და ეს ტრანსფერი საკმაოდ რეალურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინგლისელებს შეუძლიათ, ხამესში დიდი თანხა გადაიხადონ.

გარდა მანჩესტერ იუნაიტედისა, ხამესის შეძენას ფრანგული პსჟ-ც ცდილობს.

# დიეგო სიმეონე შესაძლოა ატლეტიკოდან წავიდეს

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მადრიდის ატლეტიკოს არგენტინელმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ შესაძლოა გუნდი დატოვოს და არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს.

არგენტინის საფეხბურთო ფედერაციას დიდი სურვილი აქვს, სიმეონე ნაკრების მწვრთნელად იხილოს, თუმცა ჯერჯერობით ეს არ ხერხდება. თვითონ სიმეონე ატლეტიკოდან წასვლას არ გამორიცხავს, მაგრამ, როდის მოხდება ეს, არავინ იცის. ატლეტიკოსთან კონტრაქტი სიმეონეს 2020 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან; 2. ყურძნის სხვადასხვა ჯიშების შერევა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 3. უკრაინის ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 5. თანაგრძნობა, კეთილი განწყობილება ვინმესადმი; 7. რძის პროდუქტი; 11. პროტესტის გამოხატვის დიპლომატიური მეთოდი; 13. ხეხილის ბაღი; 15. სპირტიანი სასმელი; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ბანდიტის, ხულიგნის, ქურდის ძველებური სახელწოდება საფრანგეთში; 19. პირველი ავტომობილის შემქმნელი გერმანელი ინჟინერი.

**თარაზულად**: 6. სამურაბე ლამბაქი; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 9. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ლეონარდო და ვინჩის ფერწერული შედევრი; 12. მრავალშრიანი ფანერა; 14. კუთხე საქართველოში; 17. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 20. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 21. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 22. სახელმწიფო სკანდინავიაში; 23. პოლონური სამეჯლისო ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*